ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 23 მაისი, 2019 №120 (8074) ფასი: 60 თეთრი

## ალაიანში 17 წლის დედამ 7 თვის ჩვილი გაგუდა და მიიმალა



გვ.7

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




# „კალაძე ივანიშვილის ჩანაცვლებაზე ოცნებობს“





გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქს ხეები, ცხოველები და ადამიანები მხოლოდ პარკსა და ვოლიერებში უნდა“





## მიხეილ სააკაშვილი: „ვამზადებ საფუძველს ჩემი დაჩქარებული წესით დაბრუნებისთვის“

გვ.5



## ნიკა ჩიტაძე: „მეორე ტურში მთაწმინდაზე შანსები 50/50-ზეა“

გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილის სადისტურ მეთოდებს ეს ხელისუფლებაც იყენებს“

გვ.3



## დემურ გიორხელიძე: „ჩვენ გვჭირდება არასტაბილური მდგომარეობა“

გვ.3




### სამართალი

გვ.7

## ხორავაზე მკვლელობის საქმეში დ.ღ.-ს 2 წელი და 3 თვე მიესაჯა

„ჩემს შვილს შეაწმინდეს ხელი ბოლომდე“



## ჩაწყობილი თამაშების საქმეზე 4 ფეხბურთელს პატიმრობა შეეფარდა, 7-ს კი — 10.000 ლარიანი გირაო



### ეკონომიკა

გვ.6

## შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიმართვა გაფიცულ თანამშრომლებს

Mn
ჯორჯიან მანგანეზი

## პრემიერმა ივანიშვილის კომპანიას წითელ ნუსხაში დაცული 109 ხის მოჭრის უფლება მისცა

გვ.2



## აბასთუმანში ავტოსადგომის მოწყობაზე 9-მილიონიანი ტენდერი ხელახლა გამოცხადდა

გვ.6



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ჯემალ გამახარია: „გალის რაიონში რაც ხდება, შუა საუკუნეებშიც არ ყოფილა“

4 შემცირდა თუ არა უმუშევრობა საქართველოში

3 მაჭავარიანი ანაკლიის პორტის პროექტზე: „იმაზე მეტ რისკს ვერ გავწევთ, რაც სახელმწიფომ უნდა გაწიოს“

8 ზელენსკიმ მუჟენკო მოხსნა

# „კალაძე ივანიშვილის ჩანაცვლებაზე ოცნებობს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ოლიგარქს ხეები, ცხოველები და ადამიანები მხოლოდ პარკსა და ვოლიერებში უნდა“

შორენა მარსაგიშვილი





რას ერჩის ბიძინა ივანიშვილი ხეებს, რა საფრთხეების წინაშე დგას ხალხი და ქვეყანა, რა არის გამოსავალი და რაზე უნდა შეთანხმდნენ პარტიები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.

***– როგორც კი შუალედური არჩევნები დამთავრდა, ლარის კურსი გაიქცა, უბილეთოდ მგზავრობაზე ჯარიმა 5-დან 20 ლარამდე გაიზარდა, ივანიშვილს წითელ წიგნში შეტანილი ხეების მოჭრის უფლება მისცეს. თავისი გაინაღდა „ოცნებამ“ და აიწყვიტა, თუ სხვა რამესთან გვაქვს ადგილი?***

– არჩევნების მოსაგებად ივანიშვილმა ბევრი ფული დახარჯა. ამიტომ, დასრულდა თუ არა არჩევნები, მაშინვე შეუდგა იმ ფულის ამოღებას, რომლითაც ამომრჩეველი მოისყიდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ნაწილი ამას სათანადოდ ვერ აფასებს. მათ დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს. არადა ხვალინდელ ქათმამდე ანუ არჩევნებამდე შეიძლება ვეღარც კი მიაღწიონ.

ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა შექმნილი. ლარის კურსმა რეკორდი მოხსნა, რასაც ინფლაცია და ფასების ზრდა მოჰყვა. ამის პარალელურად გაქრა სამუშაო ადგილები. ადამიანებს ელემენტარულად წამლის და პურის ყიდვის საშუალებაც კი არ აქვთ. ვშიშობ, რომ ბევრი მათგანი არჩევნებამდე ვერ მიაღწევს.

ვინც ამ ყველაფერს ხედავს და მაინც „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს, ის უგუნური და პლუს უსინდისოა. მათ ქმედებას სხვა შეფასებას ვერ მივცემ. 7 წლის თავზე, როცა კიდევ იჯერებ ივანიშვილის ტყუილებს და ამასთან ერთად ქრთამსაც იღებ, ოლიგარქზე არანაკლები დამნაშავე ხარ.

ხელისუფლების მადა ისე გაიზარდა, რომ ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებსაც კი აღარ ინდობენ. ივანიშვილი და კალაძე იმდენად გაუმაძღრები გახდნენ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის პირიდან ლუკმის გამოცლასაც კი აღარ ერიდებიან.

ძალიან გამკვირვებია, რატომ ითვლება თბილისის მერი ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკოსად. ბოლოს ჩატარებულმა კვლევამ გვამცნო ამის შესახებ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ კალაძე ოლიგარქზე რამეთი უკეთესია, ძალიან ცდება.

მისი ხელით ხორციელდება ე.წ. ტაქსების რეფორმა, რომელიც ათასობით ადამიანს ლუკმა-პურის გარეშე დატოვებით ემუქრება. ამ უნამუსობის წინააღმდეგ ჩვენ, ლეიბორისტებმა, დავიწყეთ ბრძოლას და უახლოეს მომავალში ამ ბრძოლას განვაახლებთ.

***– მძღოლებთან ერთად აპირებთ ისევ აქციის მოწყობას?***

– მათ გარეშე არ გამოვა. ჩვენ მზად ვართ, ახლა ყველაფერი ტაქსის მძღოლების აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. პირველი აქციის დროს ტაქსის მძღოლების ნაწილი აჰყვა „ოცნების“ პროპაგანდას – პარტიებთან ერთად ნუ გამოდიხართო. ახლა ისინი ხვდებიან, რომ მათ თვითორგანიზაციის მაღალი დონე არ აქვთ, ჩვენი მხარდაჭერის გარეშე აქციის მოწყობა გაუჭირდებათ.

ჩვენი და ტაქსის მძღოლების აქცია იყო ძალიან სერიოზული. ასეთი დიდი საპროტესტო ავტოკოლონა საქართველოს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ამან ლამის მიგვიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე, მაგრამ ხელისუფლების პროპაგანდამ და ჩანერგილმა პირებმა ცუდი როლი ითამაშეს.

ბრძოლა ისევ გაგრძელდება. ათეულობით ათას ადამიანს კალაძეს ულუკმაპუროდ არ დავატოვებინებთ. სამწუხაროდ, ვიღაცებს ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ ის „ოცნების“ ლიდერზე უკეთესია. შეიძლება ითქვას, რომ კახა კალაძე არის ახალგაზრდა ივანიშვილი, რომელიც მისი ადგილის დაკავებაზე ოცნებობს.

ის, ასევე, დიდ ფულზე ოცნებობს. ახლახან გავიგეთ, რომ უბილეთოდ მგზავრობისთვის ადამიანებს 20 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევთ. აქამდე ანალოგიური ქმედებისთვის ადამიანებს 5 ლარით აჯარიმებდნენ.

უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმა აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ ისეთი არა, რომ ადამიანები, რომლებსაც გადარჩენის პრობლემა აქვთ – პურს ვერ ყიდულობენ, ტრანსპორტში საერთოდ ვერ ავიდნენ.

ამ ოდენობის ჯარიმა ერთ რამეზე მეტყველებს – ხელისუფლება ყველანაირ მეთოდს იყენებს, რათა ადამიანებს ბოლო თეთრები ამოაცალოს ჯიბიდან.

ბილეთის საფასურს ძირითადად ის ადამიანები არ იხდიან, ვისაც ელემენტარულად პურის ფული არ აქვს.

***– ხშირად ბილეთებს ისეთი ადამიანებიც არ ყიდულობენ, ვისაც ფულის პრობლემა არა აქვს.***

– ძირითადად ბილეთებს გაჭირვებული ადამიანები ვერ იღებენ. მათ ჯარიმები კი არ უნდა გაუზარდონ, არამედ მათთვის რაიმე სოციალური პროგრამა მოიფიქრონ. ესენი კი გაჭირვებულ ადამიანებს პირდაპირ ახრჩობენ.

ხეებთან დაკავშირებით ნამდვილად სამარცხვინო ადამიანია – მთავრობამ ივანიშვილს წითელ წიგნში შეტანილი 109 ინდივიდის მოჭრის უფლება მისცა.

ჩვენ თუ მოვდუნდით, 109 კი არა, 109.000 ხე განადგურდება. განადგურდებიან ადამიანებიც. თავისი მზაკვრობის განსახორციელებლად ხელისუფლებას წინ კარგი დრო უდგას.

***– კარგ დროში რას გულისხმობთ?***

– წინ ზაფხულია. ხელისუფლება, როგორც წესი, ზაფხულსა და ახალი წლების პერიოდში იღებს ყველაზე მძიმე გადაწყვეტილებებს.

***– ივანიშვილს ხეებზე ძალიან სერიოზული გართულება აქვს – სადაც კი ფეხი დაადგა, ყველგან ხეებს ანადგურებს/ რამე აუტანლობა ჭირს? არადა, დენდროლოგიურ პარკს აშენებს და, როგორც ამბობენ, ხეებთან ჩახუტება ყვარებია.***

– მართლა არ ვიცი, რატომ აქვს ამ ადამიანს ხეების მიმართ ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება. ეტყობა, უნდა, რომ მხოლოდ თავის ეზოში ჰქონდეს ხეები.

ერთი რამ აშკარაა, ის ცოცხალ არსებებს, ადამიანების ჩათვლით, არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ივანიშვილს ხეები, ადამიანები და ცხოველები მხოლოდ საკუთარ ვოლიერსა და აკვარიუმში უნდა.

ამის იქეთ მისთვის სულ ერთია, ვინ სად გადაიჩეხება და მოკვდება. მას მხოლოდ მონებად ქცეული ადამიანები სჭირდება. ხეც მამულში უნდა, რომ თვალს წყალი დაალევინოს. ბედნიერი იქნება, თუ მისი სამფლობელოს იქეთ ქვა-ქვაზე არ დარჩება.

***– მონებადქცეული ადამიანები ახსენეთ და დაიმონა ოლიგარქმა ქვეყანა, რომ არავინ არაფერზე ხმას არ იღებს?***

– რეალურად ასე არ არის. უბრალოდ, რაღაც კრიზისი შეიქმნა ქვეყანაში. ადამიანები ნიჰილისტურად არიან განწყობილი. მთაწმინდაზე ჩატარებულმა არჩევნებმა გვაჩვენა, რომ ადამიანები კვლავ არ მიდიან არჩევნებზე. ერთი მხრივ, მათ უიმედო განწყობა აქვთ და მეორე მხრივ, ვერ ნახეს ისეთი კანდიდატი, რომელიც მათთვის იქნებოდა მისაღები.

კარგი იქნება, თუ არჩევნებში დიდი კონკურენცია იქნება და ბევრი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველი იმას ვეღარ იტყვის, რომ ბოკერიას ან „ოცნების“ გამო არ წავიდა არჩევნებზე.

ხელისუფლება ათასი ცუდი საქმის გაკეთებას აპირებს. ძალიან ბევრი ობიექტის პრივატიზება და მიწების გაყიდვა იგეგმება. ლამისაა, პროსტიტუციის ლეგალიზებაც მოახდინონ.

დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ გაააქტიურებენ მარიხუანის თემას. იქნება კიდევ ბევრი ცხელი თემა. შრომითი უსაფრთხოების მიმართულებით არაფრის გაკეთებას არ აპირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშების გენოციდი გაგრძელდება.

გრძელდება მცოცავი ოკუპაცია რუსეთის მხრიდან, აზერბაიჯანთან კვლავ ვერ გვარდება სადავო ტერიტორიების საკითხები.

აქტიურები თუ არ ვიქნებით, ბევრი ჩვენგანი 2020 წლის არჩევნებამდე ელემენტარულად ვერ მიაღწევს. ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს ქვეყანა, მათ შორის, ტერიტორიებს.

ამ ქვეყნისთვის, მოგეხსენებათ, რა მნიშვნელოვანია ტურიზმი, მაგრამ ტურიზმს მოსახლეობისთვის ეფექტი არ მოაქვს. სოფლის მეურნეობა ჩვენში განვითარებული არ არის. ამის გამო აქ შემოსული თანხების დიდი ნაწილი ქვეყნიდან გადის.

ტურისტებს ვინ ჩივის, ლამისაა, საკუთარი მოსახლეობის გამოსაკვები პროდუქციაც ვერ მოვიყვანოთ. „ოცნებამ“ ადგილობრივი წარმოება დაახრჩო.

ზემოთაც გითხარით, რომ ხელისუფლების მადას საზღვარი არ აქვს. ეს ტურიზმის სფეროში კარგად გამოჩნდა.

იმდენად გახარბდნენ, რომ დაცულ ტერიტორიებზე, ბუნების ძეგლებზე, მღვიმეებზე, გამოქვაბულებზე, გადასახადები კიდევ უფრო გაზარდეს.

იქ შესვლა ხელმიუწვდომელი გახდა არა მარტო ჩვენი მოქალაქეებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც. ისინიც სერიოზულ პროტესტს გამოთქვამენ ფასების ზრდის გამო.

ეს სიხარბე ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. საქართველოს მოქალაქეების ნაწილი საერთოდ ვერ დაათვალიერებს ამ ბუნებრივ ძეგლებს, რომლებიც, კანონის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს ეკუთვნის.

ასე თუ გაგრძელდა, უცხოელი ტურისტების რაოდენობაც შემცირდება. მე ჩართული ვარ ტურისტულ სფეროში და მიწევს უცხოელ ტურისტებთან ურთიერთობა.

ფასები ადეკვატური თუ არ იქნა, უცხოელები საქართველოში ჩამოსვლაზე უარს იტყვიან. წავლენ შრი ლანკაში და ორჯერ ნაკლებს გადაიხდიან.

ტურიზმზე ვსაუბრობთ და აქედანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ არაფერში ადარდებს ხელისუფლებას საკუთარი მოქალაქეები.

სხვა ქვეყნებში არის სერთიფიცირება, რომელიც ქვეყანაში უცხოელ გიდებს საქმიანობას უზღუდავს. ჩვენთან არანაირი შეზღუდვა არ არის. ვისაც არ ეზარება, ყველას გიდი ჰქვია.

უცხოელებს ჩამოჰყავთ თავიანთი გიდები, ამით საქართველოს უამრავ მოქალაქეს ტოვებენ უმუშევარს.

გიდებს ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი მისიაც აკისრიათ. ისინი საქართველოს შესახებ უცხოელებს უნდა მოუყვნენ. ეს უცხოელი გიდები რას ყვებიან, კაცმა არ იცის.

ასევე კაცმა არ იცის ამ გიდების წარმომავლობა. ვინ არის იმის გარანტი, რომ ისინი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები არ არიან.

***– ეს ვინ უნდა გააკონტროლოს?***

– სახელმწიფომ. სპეციალური სამსახურები რაში იღებენ ხელფასს? მაგრამ „ოცნებას“ მხოლოდ ფულის შოვნა აინტერესებს. დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

ასე რომ, ყოველდღიური ბრძოლის რეჟიმში მოგვიწევს ყოფნა, რათა 2020 წლამდე თუ არა, 2020 წელს მაინც დავასრულოთ ივანიშვილი.

ასევე, სამუდამოდ უნდა დავასრულოთ ერთპიროვნული რეჟიმი. უნდა გადავიდეთ კოალიციურ მმართველობაზე. კოალიციური მთავრობა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა, რამდენიმე ძალამ უნდა შექმნას.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ხელისუფლებაში „ოცნების“ სატელიტების მოსვლა.

***– არის ამის შანსი?***

– რა თქმა უნდა. ივანიშვილი არის რვაფეხა, რომელსაც, სულ მცირე, რვა საცეცი აქვს. მხედველობაში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები მყავს. ზოგი მათგანი ღიად თანამშრომლობს ოლიგარქთან, ზოგიც – ფარულად.

სატელიტების თვალსაზრისით, ივანიშვილმა სააკაშვილს ბევრად გადააჭარბა. ნაციონალებს ამდენი სატელიტი არ ჰყოლიათ.

## პრემიერმა ივანიშვილის კომპანიას წითელ ნუსხაში დაცული 109 ხის მოჭრის უფლება მისცა





– სახელმწიფო ვალდებულია ბოლომდე იზრუნოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ხეების გადასარჩენად. ამისათვის საქართველოში შესაბამისი ტექნიკაც არსებობს და ისეთი ადგილებიც, სადაც თავისუფლად შეიძლება მათი გადარგვა. დაცული ხეების მოჭრა უკიდურესი მდგომარეობაა. ამისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ბევრი ფაქტორი, მათ შორის, რა მდგომარეობაშია ხე. ვერ ვხვდები, ამ საქმესთან რა შუაშია პრემიერი. ჯერ სპეციალისტებს დასკვნა უნდა დაეწერათ, რომ ამ ხეების გადარგვა არ შეიძლება და იგი უნდა ახლდეს დადგენილებას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი აღნიშნული ხეების მოჭრა. ჩამონათვალში ძალიან ბევრი მუხაა, მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ მათ შორის არის ძელქვაც, რაც ყველაზე ძვირფასია საქართველოში, – ასე აფასებს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე პრემიერის განკარგულებას, რომელიც ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სამშენებლო ტერიტორიაზე „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 109 ხის მოჭრის ნებართვას იძლევა.

კომერსანტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დემურ გიორხელიძე: „ჩვენ გვჭირდება არასტაბილური მდგომარეობა“



ნონა ცაბაძე

რატომ გაუფასურდა ლარი, რა სახის ზეწოლა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაზე, რა გავლენას ახდენს ამ პროცესზე გარე ფაქტორები, რა გზები არსებობს სიტუაციის გამოსასწორებლად? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.

***– ბატონო დემურ, რატომ გაუფასურდა ეროვნული ვალუტა?***

– როგორც ჩანს, ინვესტორებს და იმ ადამიანებს, ვინც სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობენ და ეს არის უცხოური კომპანიები, ძირითადად გააქვთ ქვეყნიდან ფული, თავიანთი მოგებები. სხვა ისეთი განსაკუთრებული ზეწოლა არ უნდა იყოს. ჩვენ უფრო ჩვენი შიდა პრობლემები გვაქვს.

***– კერძოდ, რა პრობლემები?***

– საქართველოში ფულის მასა არ შეესაბამება ეკონომიკის მოცულობას. ამიტომ არის, რომ ოდნავ შეთამაშება მოთხოვნებში გავლენას ახდენს ლარის კურსზე.

***– თურქეთში ლირას გაუფასურებასთან ლარის ვარდნა კავშირშია?***

– რაღაც გავლენა იქნება, რადგან ჩვენი ეკონომიკა ბრმა 30-წლიანი პოლიტიკით, თურქეთის ეკონომიკას მივაბით. ეს კიდევ ერთი დიდი უჭკუობა იყო. იქ ვალუტის ცვლილება გარკვეულწილად იმოქმედებს, მაგრამ როდესაც წელიწადში ეს პერიოდულად ხდება, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, გარდა სუბიექტური ფაქტორებისა, რომ რაღაც სერიოზული ფუნდამენტალური ფაქტორია.

ქვეყანა ჩამოკიდებულია იმპორტზე, ყველაფერი იყიდება დოლარზე. თუ ლარის კურსი ეცემა, მაშინ იმპორტიორებს მეტი ლარი სჭირდებათ, რომ იგივე მოცულობის ოპერაციები შეასრულონ. საიდან უნდა მოიტანოს იმპორტიორმა ზედმეტი ლარები? ცხადია, იგი თავის პროდუქციას აძვირებს. ამიტომ, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე, თითქმის 1 ლარით გაძვირდა საწვავი. ეს ფანტასტიკური მატებაა! მედიკამენტებსაც თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, როგორ კატასტროფულად გაიზარდა ფასი.

მთავრობამაც და ეროვნულმა ბანკმაც უნდა ჩახედონ იმ ღრმა მიზეზებს, რაც განაპირობებს წლის განმავლობაში ლარის კურსის გაუგონარი ამპლიტუდით რყევას.

***– პრობლემას ეკონომიკის მინისტრების ცვლილება ვერ შველის?***

– ვერ შველის, რადგან ეკონომიკის მინისტრის უფლებამოსილება რაიმე დავალების შესრულებას ვერ სცილდება.

ჩვენ ვერ ვხედავთ პოლიტიკის განმხორციელებელ ჯგუფს, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებს პროფესიულად გააზრებულ და პოლიტიკური პასუხისმგებლობით დატვირთულ პოლიტიკას. ამიტომ სულ ასე ვიქნებით.

წელიწადში რამდენჯერ უბრუნდება მედია ამ თემას?! სწორდება რაიმე?! მიდის ზევით ქვევით თამაში. გავა ცოტა დრო, მცირედით დასტაბილურდება ლარი, მერე ისევ გაუფასურდება.

აქ არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა. საქართველოს მწირი ეკონომიკისთვის ეს კურსი ძალიან მაღალია. არ არის ქართული ეკონომიკა ისეთი, რომ ასეთი მაღალი კურსის ფარგლებში ხდებოდეს მოქმედება.

როდესაც შექმნილი პროდუქცია და შექმნილი მომსახურება გაიზრდება, ეს ავტომატურად გამოიწვევს ფულის მასის ზრდას. ფულის მასის ზრდა, მისი კურსის დაწევა ქართული ეკონომიკის შესაბამის დონემდე მხოლოდ ეკონომიკური სწრაფი ზრდის პირობებში შეიძლება. ხოლო თუ არაფერი შეიცვლება, წლის ბოლომდე, ჩვენ 5-6-ჯერ მაინც გვექნება ამ თემაზე საუბარი.

***– საუბარია იმაზეც, რომ სერიოზულად მიდის დიდი ოდენობით ფულის კეთება მავანთა მიერ, როდესაც ლარის კურსის ასეთი ხშირი ცვალებადობა ხდება.***

– გასაგებია, როდესაც ასეთი რამე ხდება, ეს ყოველთვის იქნება პოლიტიკური სპეკულაციის საფუძველი. პირობას მოგცემთ, კიდევ წლები გაგრძელდება ასე, თუ არაფერი შეიცვალა. სტაბილიზაცია იმ გაგებით, რასაც მთავრობა ფიქრობს, შეუძლებელია მიღწეული იქნას!

***– ანუ იმედი არ უნდა გვქონდეს?***

– ჯერ ერთი, ასეთ დაქცეულ ეკონომიკაში კარგია თუ არა სტაბილიზებული მდგომარეობა, ესეც საკითხავია. პირიქით, ჩვენ გვჭირდება არასტაბილური მდგომარეობა, რომელიც სწრაფ ეკონომიკურ ზრდასთან იქნება დაკავშირებული.

2.8 ქართული რეალობისთვის არის ძალიან მაღალი ნიშნული. ამას პოლიტიკური გადაწყვეტილებებით ვერ შეცვლი, ამას უნდა პროფესიული მიდგომა.

## მაჭავარიანი ანაკლიის პორტის პროექტზე: „იმაზე მეტ რისკს ვერ გავწევთ, რაც სახელმწიფომ უნდა გაწიოს“



– თუ ამ პროექტის მნიშვნელოვანი რისკის გადმოტანა სახელმწიფოზე მოხდა, მაშინ სად არის კომერციული კომპონენტი? – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა BM.GE-ის ჟურნალისტის კითხვაზე საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ანაკლიის პორტის მომგებიანობის საკითხს ეხებოდა.

როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, მსგავსი შეკითხვები და პოზიცია კრედიტორების ნაწილსაც აქვს.

მინისტრის განცხადებითვე, კრედიტორები სწორედ იმიტომ ითხოვენ კომერციული რისკების დაზღვევას, რომ ისინი არსებულ ბიზნესმოდელში თავს სრულად კომფორტულად არ გრძნობენ.

– შესაბამისად, ამ მხრივ, ჩვენ წინ წავედით და ბევრ სხვადასხვა ტიპის რისკს ვუზღვევთ და ვუბათილებთ, თუმცა ტვირთების რაოდენობა იქნება თუ არა ამდენი და ამ კორიდორზე იქნება თუ არა ეს ტვირთბრუნვა, ჩვენ აქ თავს ვიკავებთ და მიგვაჩნია, პროექტი იმიტომ არის კერძო ინიციატივა, რომ ეს რისკები თანაბრად გადანაწილდეს. ჩვენ იმაზე მეტ რისკს ვერ ავიღებთ, რაც სახელმწიფომ უნდა აიღოს.

შეგახსენებთ, ჩვენი ვალდებულება იმის შესახებ, რომ უნდა გავიყვანოთ რკინიგზა და საავტომობილო გზა – ჩვენი ვალდებულებაა, ასევე, მიწების გამოსყიდვაში რომ უნდა დავეხმაროთ კონსორციუმს, ჩვენი ვალდებულებაა, რისთვისაც 100 მლნ ლარამდე დაფინანსება გამოვუყოთ, ეს ყველაფერი ძალაშია და ურყევია. თუ ამ პროექტის მნიშვნელოვანი რისკის გადმოტანა სახელმწიფოზე მოხდა, მაშინ სად არის კომერციული კომპონენტი? სად არის კერძო ინიციატივა? – ეს ფილოსოფიას მთლიანად ცვლის, რისი მიხედვითაც, ამ პროექტის ინიცირება დასაწყისში მოხდა.

ამიტომ ამ ეტაპზე ვთქვით, რომ ბევრ რამეში დავეხმარებით, თუმცა ძირეულ, ფუნდამენტურ ცვლილებას ჩვენ არ მივესალმებით, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

BMG

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილის სადისტურ მეთოდებს ეს ხელისუფლებაც იყენებს“

### „ევროპულ საქართველოს“ დასავლეთთან კავშირი არ გააჩნია“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

***– საქართველოში სააკაშვილისა და რულოვსის მიერ დაანონსებული მოქმედებებისა ცოტას სჯერა. მიუხედავად ამისა, არ მოხსნილა დღის წესრიგიდან ზუგდიდის მერის შუალედური არჩევნების შედეგების გაპროტესტება. რას უნდა ველოდოთ?***

– დრამატული მოვლენები არ იქნება. ზუგდიდს, ისევე, როგორც მარნეულს, ამ შუალედურ არჩევნებში სხვა დატვირთვა ჰქონდა. ქვეყნის შიგნით ან გარეთ ამ ქალაქების თვითმმართველობა და მერების ვინაობა არავის აღელვებს. ჩაფიქრებული იყო ზუგდიდისა და მარნეულის გამოყენება დესტაბილიზაციისთვის.

***– ზუგდიდის გეგმებზე გისაუბრიათ. მარნეულში რაღა უნდა მომხდარიყო?***

– მარნეულის ამბები განიხილებოდა დავითგარეჯთან ერთად. რუსეთის გეგმის თანახმად, დავითგარეჯში დაწყებული პროვოკაცია ქვემო ქართლში გადმოინაცვლებდა. რუსეთის პროვოკაცია აშშ-მ ჩაშალა. ამ ავანტიურას აზერბაიჯანი გაეცალა. როცა ზუგდიდისა და მარნეულის წინა მერები გაუშვეს და დაიჭირეს, მაშინვე ცხადი იყო, რომ იქ რაღაც მზადდებოდა.

***– კორუფციის ან სხვა დანაშაულის გამო მერების დაპატიმრება უჩვეულო მოვლენაა საქართველოში?***

– მხოლოდ ამასთან არ გვქონდა საქმე. როცა რუსეთის ხელისუფლებას თავის ფედერაციაში რაღაცა აქვს გადასაწყვეტი ან გადასაფორმატებელი, შერჩეულ ადგილებში მერებს აპატიმრებს. ეს მეთოდი ათწლეულების განმავლობაში გამოიყენება. საქართველოში არეულობისა და ძალაუფლების იმგვარი გადაბარებისათვის, რომელიც კრემლს აწყობს, ეს მეთოდი გამოიყენეს.

***– როგორც ჩანს, უშედეგოდ გამოიყენეს.***

– რულოვსი „ოცნების“ დახმარებით ზუგდიდის მერიც რომ გამხდარიყო, ეს იქნებოდა გეგმის პირველი ეტაპი. შემდგომ გეგმებს რუსეთს უკვე არავინ შეასრულებინებდა. კრემლს საქართველოში არეულობა და პოლიტიკური სისტემის ეროზია აღარ გამოუვა. ზუგდიდი და მარნეული, რუსული გეგმით, უნდა გამხდარიყო ორი ცხელი წერტილი.

მანამდე სურკოვის გარემოცვაში უფრო ხმაურიანი სცენარი განიხილებოდა. საუბარი იყო დედაქალაქის მერის, კალაძის დაკავებაზე. ამ მიზნით წინასწარ კალაძის საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო.

***– კალაძის შესაძლო მოსალოდნელ დაჭერაზე, მართლაც, ბევრი ლაპარაკობდა.***



– ამ ხმებს რუსეთის დავალებით ავრცელებდნენ. შემდეგ თბილისის მერთან დაკავშირებულ გეგმაზე უარი თქვეს და ზუგდიდი-მარნეულზე გადაერთნენ. არ ვიცი, ამის მიზეზი ივანიშვილის უარი გახდა თუ რუსეთის სპეცსამსახურებმა ეს ვარიანტი სარისკოდ მიიჩნიეს. საქართველოში დედაქალაქის მერი საკვანძო არჩევითი თანამდებობაა.

***– სააკაშვილისა და რულოვსის მუქარები არაფერს ნიშნავს?***

– ცხადია. რუსეთის ზუგდიდურ სქემაზე მოგახსენეთ. მისი რეალიზაციის მცდელობის პროცესში ყველაზე არასერიოზული და კომიკური სააკაშვილის განცხადებები იყო. საერთოდ, ქვეყანაში დესტაბილიზაციისთვის რესურსი არ არის.

***– ანუ უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში არ გამოდის?***

– ნაცმოძრაობის და სხვების მიერ ორგანიზებულ აქციებზე (წინა წლებსაც ვგულისხმობ) გამოიყენება მართული საზოგადოების ნაწილი. ვალების ვერდაბრუნების გამო საქართველოში ბევრი ოჯახი გამოასახლეს საკუთარი საცხოვრებლიდან. არიან ისეთი ოჯახები, რომლებიც ჯერ არ გამოუსახლებიათ. ეს ადამიანები დროებით რჩებიან თავიანთ ბინებში.

ეს ბინები იურიდიულად მევახშეებმა ჩაიგდეს ხელში. დაახლოებით 100.000 ბინათმესაკუთრეა ამ მდგომარეობაში. პირადად სააკაშვილის მიერ წახალისებული მევახშეობა მისი სადისტური სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. ამ ხალხს იყენებდა სააკაშვილის რეჟიმი. ამ ადამიანებს ხალხმრავალი აქციებისთვის იყენებენ ახლანდელი ხელისუფლებიც სპეცსამსახურებიც.

***– აქციებს და შეკრებებს ხშირად ოპოზიცია მართავს.***

– ბევრი ოპოზიციური აქცია ხელისუფლებიდან იმართება. ეს აქციები ვითომ ოპოზიციურია. ასეთ დროს ხელისუფლება, პირველ რიგში, ახდენს იმ მოქალაქეების მობილიზებას, რომლებსაც გამოსახლება ემუქრებათ. ეს ეხება ქუჩების, მოედნების აქციებს, ასევე ყრილობებს შენობებში. პატრიოტთა ალიანსის სახელით მოწყობილ ღონისძიებებში ხელისუფლება ამ კატეგორიის მოქალაქეების მობილიზებას ახდენს. სააკაშვილმა 37 წელში გვაცხოვრა. სამწუხაროა, რომ მის დროს შექმნილ სადისტურ ელემენტებს ეს ხელისუფლება იყენებს.

***– ისევ აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ ივანიშვილს აიძულებს, გადასცეს ძალაუფლება ბოკერიას „ევროპულ საქართველოს“.***

– ეს არის აბსურდი, რომელიც მიზანმიმართულად ვრცელდება. რუსული პოლიტტექნოლოგიები მოიცავს კამუფლაჟის მეთოდებს. იმისათვის, რომ თავიანთი გეგმები თვალშისაცემი არ იყოს, რუსები ზღაპრებს თხზავენ და აქაურ კრეატურას ავრცელებინებენ.

„ევროპული საქართველოს“ პროდასავლურ პარტიად გამოცხადება ერთ-ერთი რუსული მონაჭორია. ამ სიცრუით საქართველოს არაინფორმირებულ ნაწილს აბრუებენ. აშშ-ში ყველამ კარგად იცის, რომ „ევროპულ საქართველოს“ დასავლეთთან კავშირი არ გააჩნია. ამერიკელები ვერ მოსთხოვენ ივანიშვილს, რომ ხელისუფლება „ევროპულ საქართველოს“ გადააბაროს.

რუსეთს სულ უფრო უჭირს თავისი პოლიტტექნოლოგიების ამოქმედება. ჩრდილოელ მეზობელს დესტაბილიზაცია ჩაუფლავდა პანკისში, დავითგარეჯსა და მარნეულში, ასევე ზუგდიდში. ეს ამერიკელი პარტნიორების გააქტიურების შედეგია. წარსულს ჩაბარდა, დრო, როცა კრემლი საქართველოში აკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა.

ახალი ხანა, რომლის მოახლოებაზეც ადრე ვლაპარაკობდი, მოსულია. აშშ ირანის წინააღმდეგ სერიოზულ ზომებს იღებს. ეს რუსეთისთვის დიდი ტრავმაა. რუსეთი სუსტდება წინა აზიასა და კავკასიაში. არ გამოვრიცხავ, რომ შემოდგომისათვის საქართველოში კრემლმა კიდევ რაღაც ჩაიფიქროს, მაგრამ ამას შედეგი არ ექნება.

საქართველოსა და უკრაინაში რუსეთს მუდმივი დესტაბილიზაცია უნდა. მოსკოვში საქართველო და უკრაინა თავისი საუფროსო ტერიტორიები ჰგონიათ. დროა, მიხვდნენ, რომ სხვა დრო დადგა.

დაიწყო დამაინტრიგებელი პოლიტიკური ხანა.

# ნიკა ჩიტაძე: „მეორე ტურში მთაწმინდაზე შანსები 50/50-ზეა“

იაგო ნაცვლიშვილი

**შუალედურ არჩევნებში ყველგან „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს, გამონაკლისი იყო თბილისის №1 საარჩევნო ოლქი. პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მთაწმინდის მაჟორიტარობისთვის მეორე ტურში მმართველი გუნდის წარმომადგენელი ლადო კახაძე და ბლოკის „ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატი შალვა შავგულიძე იბრძოლებენ.**

**როგორ ჩატარდა არჩევნები, რას უნდა ველოდოთ მეორე ტურში და რა იქონიებს გადამწყვეტ გავლენას? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს:**



**ძალადობრივი სისტემის შექმნაზე საუბარი „გირჩს“ არ უნდა აწყობდეს, ჯაფარიძე თვითონაც „ნაცმოძრაობაში“ იყო“**

***— შუალედურ არჩევნებზე ყველგან გაიმარჯვა მმართველი გუნდის კანდიდატმა, გარდა მთაწმინდისა, როგორ ფიქრობთ, რატომ და ასევე შეაფასეთ ის ფაქტიც, რომ მთაწმინდაზე ამომრჩეველი ყველაზე მცირე რაოდენობით მივიდა?***

— ბოლოდან დავიწყებ. ყველაზე უფრო ნიჰილისტური დამოკიდებულება არჩევნებისადმი და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ თბილისში შეიმჩნევა. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ჩვენ ვიცით, თუნდაც 2014 წელს ტარდებოდა თბილისის მერის არჩევნები, მასში მონაწილეობა ამომრჩევლის ნახევარზე ნაკლებმა მიიღო. მაშინ ნარმანიამ მეორე ტურში გაიმარჯვა. მართალია კალაძემ შემდეგ პირველივე ტურშივე გაიმარჯვა არჩევნებში, მაგრამ ელექტორატის ნახევარზე ნაკლები გამოცხადდა მაშინაც არჩევნებზე. ნახევარზე მეტს თბილისში ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური პარტიისა და მათი კანდიდატების მიმართ. ამიტომაც არის, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ თბილისში ფიქსირდება. ამით უნდა ავხსნათ, რომ ყველაზე მცირე რაოდენობა ამომრჩევლისა სწორედ მთაწმინდის საარჩევნო ოლქში მივიდა ხმის მისაცემად.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, პირველ რიგში, თბილისში სვამს კითხვას, ვის მივცე ხმა. ამბობენ, რომ „ოცნება“ ცუდია, მაგრამ ოპოზიციაც არ არის მაინცდამაინც ჩემთვის მისაღებიო. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ამის გამო დაფიქსირდა პროტესტი პოლიტიკოსების მიმართ. ამით უნდა აიხსნას ამომრჩეველთა ასეთი მცირე რაოდენობა. მით უმეტეს, თბილისში, დედაქალაქის ისტორიულ უბანში.

***— რეგიონებში ასეთივე სურათი არ არის?***

— რაც შეეხება რეგიონებში ჩატარებულ არჩევნებს, ხშირ შემთხვევაში თუ ამას ჩატარება ჰქვია... რატომ გაიმარჯვა „ოცნების“ კანდიდატმა, როცა მმართველი პარტიის რეიტინგი ისეა დაცემული, თუნდაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, როცა „ოცნებამ“ 54% მიიღო, ხოლო სულ რამდენიმე თვეში „ენ-დი-აი“-ს კვლევის მიხედვით მისმა რეიტინგმა 63% შეადგინა. ეს იმ პროპაგანდის შედეგად, რომელსაც „ოცნება“ ეწეოდა იმ პერიოდში, როცა „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი 13%-მდე დაეცა. ამიტომაც, 2013 წლის ოქტომბერში გიორგი მარგველაშვილის რეიტინგმა 60%-ზე მეტი მიიღო. ამის შემდეგ შეინიშნება „ქართული ოცნების“ კლება მთელ საქართველოში. განსაკუთრებით არსებობს ნიჰილიზმი თბილისში. მაგრამ „ოცნება“, ამის მიუხედავად, იმიტომ იმარჯვებს, რომ ის სარგებლობს იმით, რომ ამომრჩევლის ნახევარზე მეტი არ მიდის არჩევნებზე.

ზუგდიდშიც საკმაოდ დაბალი აქტივობა იყო. ამის მიზეზი არის შემდეგი: 1. ბევრი მათგანი არ იმყოფება ადგილზე, ჩამოსულები არიან თბილისში ან საზღვარგარეთ არიან და არ ჩადიან თავიანთი რეგისტრაციის ადგილზე. ვინც ჩადის, ბევრი ვიცი, რომ 50 ლარი გადაუხადეს, ჩაიყვანეს და მერე უკან წამოიყვანეს, არის ასეთი ფაქტები. ამის გარდა „ოცნება“ ახერხებს, რომ ვინც მას სჭირდება, მათი მობილიზება მოახდინოს. გარდა ამისა, ახდენს ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას.

***— აქედან გამომდინარე კონტრშეკითხვა ჩნდება, მაშინ როგორ მოხდა ისე, რომ ასეთი მცირე ამომრჩევლის პირობებშიც კი შეძლო შალვა შავგულიძემ მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურში გადასულიყო?***

— იმიტომ, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნეგატიურად არის განწყობილი, მაგრამ არის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ „ოცნება“ არ არის კარგი და ყველაზე რეალურ კანდიდატს მივცემ ხმას შალვა შავგულიძესო. თანაც შალვა შავგულიძე გამოცდილი და კვალიფიციური იურისტია. გვესმის, რომ „ევროპულ საქართველოსთან“ როგორ არისო და პრინციპებს უწუნებენ.

მაგრამ, მე პირიქით ვიტყოდი, პრინციპული რომ არის, იმიტომ რჩება ოპოზიციაში. თორემ ხომ ვიცით, მისი ყოფილი თანაპარტიელები სხვანაირად მოიქცნენ. თავის დროზე, როდესაც „ნაცმოძრაობის“ დროს თანამდებობებზე იყვნენ, მათ შორის დიპლომატიურ სამსახურში, მოგვიანებით გაემიჯნენ „ნაცმოძრაობას“, როცა ალასანია ოპოზიციაში გადავიდა და შეეკვრნენ „ოცნებას“. როცა ალასანია გაათავისუფლეს თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან და „ოცნება“ დატოვა, ისინიც გადავიდნენ ოპოზიციაში. ხოლო როდესაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს, ისინი ისევ მთავრობაში წავიდნენ და ახლა მათი ნაწილი საქართველოს მთავრობასა თუ დიპლომატიურ სამსახურში არიან. ეს ალბათ უნდა ითქვას.

აქედან გამომდინარე შავგულიძე გაცილებით უფრო პრინციპული ადამიანია. მე უბრალოდ ახლა არ ვარ მთაწმინდაზე რეგისტრირებული, მაგრამ იქ ვარ დაბადებული და გაზრდილი. შესაძლებლობა რომ მქონდეს, ამ ადამიანს სიამოვნებით მივცემდი ხმას. იმის გამო არა, რომ მას პირადად ვიცნობ, ამ ლოგიკით ლადო კახაძესაც პირადად ვიცნობ.

აქედან გამომდინარე ამომრჩეველთა ნაწილი, რომელიც ოპოზიციურად არის განწყობილი, ფიქრობს, სჯობს, რომ ოპოზიციურ კანდიდატს მივცე ხმაო.

***— მეორე ტურზეც გკითხავთ, რა იქონიებს გადამწყვეტ გავლენას მეორე ტურში და რა შანსი აქვს ოპოზიციურ კანდიდატს?***

— ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება ის, თუ ვის დაუჭერენ მხარს სხვა კანდიდატების მხარდამჭერები. იგივე ალეკო ელისაშვილის მოძრაობის კანდიდატის ლევან იოსელიანის მხარდამჭერები, ასევე სოფო ხორგუანის, გეგა გეგელიას თუ ჰერმან საბოს მხარდამჭერები. მისცემენ თუ არა ისინი ოპოზიციის კანდიდატს ხმას და გამოცხადდებიან თუ არა ისინი არჩევნებზე. მეორე, ეცდება თუ არა ხელისუფლება ზუგდიდის მსგავსად ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალურად მობილიზებას მთაწმინდაზე.

***— თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

— შანსებს 50/50-ზე ვაფასებ.

***— ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებასთან დაკავშირებით?***

— შესაძლებელია მოხდეს, მაგრამ ზუგდიდს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „ქართულმა ოცნებამ“ იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პრეზიდენტის ცოლი იყრიდა კენჭს. მით უმეტეს, რომ იქ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი უფრო მაღალია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში იქ ვაშაძემ მიიღო თითქმის 50%, ხოლო სალომე ზურაბიშვილმა 33%. მეორე ტურშიც საკმაოდ თანაბარი იყო ხმების რაოდენობა. ამიტომ, „ქართული ოცნების“ სურვილი იყო დაემტკიცებინა, რომ მისი რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის.

***— საჭიროა თუ არა, რომ მეორე ტურში შავგულიძემაც და „ევროპულმა საქართველომაც“ განსაკუთრებულად იმუშაონ ოპოზიციურ კანდიდატებთან და მის მხარდამჭერებთან, ვისი ხმებიც მათ დასჭირდებათ?***

— აუცილებლად. ვალდებულები არიან, რომ ამაზე იმუშაონ. უნდა იმუშაონ ყველა იმ ადამიანთან, ვინც არის ოპოზიციურად განწყობილი და ვისაც შეუძლია გამოხატოს თავისი პოზიცია.

***— „გირჩის“ პოზიცია რამდენად მოსალოდნელი ან მოულოდნელი იყო?***

— როცა ძალადობრივი სისტემების შექმნაზე საუბრობენ, ეს ყველაფერი ხომ შედარებითია?! თუ არჩევნებზე ვსაუბრობთ, ცხადია, ნაციონალურ მოძრაობასაც ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ ბევრი მიღწევაც. ერთ-ერთი მიღწევა ის იყო, რომ 2012 წელს მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება. მათ დროს კარტოფილის დარიგებას და ა. შ. ადგილი არ ჰქონია, განსხვავებით დღევანდელი ვითარებისგან.

არ მგონია, რომ „გირჩს“ მსგავსი განცხადებების გაკეთება აწყობდეს. „გირჩის“ თავმჯდომარე თავად იყო ნაციონალურ მოძრაობაში. მე კარგად ვიცნობ ბატონ ზურაბს და მიჭირს რაღაცის თქმა, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რაც სათქმელია.

# შემცირდა თუ არა უმუშევრობა საქართველოში





პარლამენტმა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინა. ანგარიში სხდომაზე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ წარმოადგინა.

— უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირდა ბოლო მონაცემების მიხედვით და ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ ნაწილი დაქირავებულთა კატეგორიაში გადავიდა. და თუ დავაკვირდებით ტენდენციას საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გადასულია ეკონომიკურად არა აქტიურ მოსახლეობაში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ გარკვეულმა კატეგორიამ დაკარგა რაღაც სამუშაოს იმედი და თუ აღარ ეძებს მეთოდოლოგიის მიხედვით გადადის უკვე არასამუშაო ძალაში, — განაცხადა გოგიტა თოდრაძემ.

ოპოზიციის განცხადებით ხელისუფლება ვირტუალურ რეალობას ქმნის. მათი თქმით, „ქართული ოცნება“ ოფიციალურ მონაცემებს აყალბებს, რადგან ქვეყანაში უმუშევრობა უმძიმესი პრობლემაა.

— თუ „გვახარებთ“ ბარემ ბოლომდე „გაგვახარეთ“ რა. დაწერეთ ეს ეკონომიკური ზრდა რომ არის 8 %, რომ სიღარიბე საერთოდ აღარ არის. ეს ნახევარ ზომები რად გინდათ?! თუ გაყალბებაა ბოლომდე იყოს, რომ ხალხიც ბედნიერი იყოს. მე გთხოვთ რა, რახან უკვე უკაცრავად ამ სლენგისთვის ფეხებზე დაიკიდეთ რეპუტაცია და სტანდარტი, ბოლომდე გამართული და ბედნიერი ციფრები დავწეროთ, — განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგა ბოკერიამ.

# დედაქალაქის 30 პროცენტს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ემსახურება



ფრანგული კომპანია „სისტრა“ რამდენიმე კვირაში დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის კვლევას დაასრულებს. ამის შესახებ კომერსანტს მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განუცხადა. მისი თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხრივ, დედაქალაქის 30 პროცენტი დაფარვის ზონის გარეშეა, რაც რეალურად დიდ პრობლემას ქმნის.

— კომპანია „სისტრას“ კვლევამ აჩვენა, რომ დედაქალაქში უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი დაფარვის ზონები. განისაზღვრა წარმოდგენილ დერეფნებსა და ზონებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რომელმა ტიპმა უნდა იმოძრაოს. თბილისის მერიამ არ იცოდა, რა რაოდენობის ავტობუსი ეყოფოდა დედაქალაქს და რამდენი ავტობუსი გახდება მომავალში საჭირო. დღეს ეს ინფორმაცია ჩვენ გვაქვს. ამ დროისთვის თბილისს ჰყავს 800 ერთეულამდე ავტობუსი, ესენია 12 და 8 მეტრიანი ავტობუსები. სამომავლოდ 850 ერთეული საკმარისი იქნება, რათა მომსახურება იყოს მაღალი ხარისხის, — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

კითხვაზე, რომელი უბნებია თბილისისთვის ყველაზე პრობლემური, **მამუკა მუმლაძე** განმარტავს:

— პრობლემა ყველა უბანზე არის, თუმცა, გამოკვეთით, ეს არის დიდი დიღომი, ზემო ფონიჭალა, ვარკეთილის მესამე მასივი, გლდანი და ის უბნები, სადაც მომსახურების ნაწილში დაფარვის ზონა საერთოდ არ არის, — განმარტავს მამუკა მუმლაძე.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის კვლევაზე თბილისის მერიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან საგრანტო ხელშეკრულებას 2018 წელს მოაწერა. კომპანიას დოკუმენტის მოსამზადებლად 15 თვიანი ვადა მიეცა. მუშაობის დასრულების შემდეგ ფრანგული კომპანია „სისტრა“ თბილისის მერიას ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის დეტალურ გეგმას შესთავაზებს. პროექტის საერთო ღირებულება 800.000 ევროს შეადგენს, საიდანაც 500.000 ევროკავშირის გრანტია, ხოლო 300.000 თბილისის მერის დაფინანსება.

**კომერსანტი**

# თბილისის ისტორიულ ნაწილში სამშენებლო მიმართულებით რეგულაციები შემოდის



თბილისის ისტორიულ ნაწილში სამშენებლო მიმართულებით რეგულაციები შემოდის. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, მერიის ხედვას დეველოპერები და სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები უკვე იცნობენ და ეთანხმებიან კიდეც.

რამდენიმე დღეში გვექნება დეტალური პრეზენტაცია. ძველი თბილისის ისტორიულ ნაწილში სამშენებლო მიმართულებით გარკვეული რეგულაციები შემოდის. ძველი თბილისის არეალი, ისტორიული ნაწილი ეს არის ის არეალი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება. სიმაღლეებთან დაკავშირებით არის პრობლემები და უნდა მოწესრიგდეს. მორფოლოგია, იერსახე ეს ყველაფერი არის ის მიმართულებები, რომელიც ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. რეგულაციებს რაც შეეხება, არაერთი კომუნიკაცია გვქონდა დეველოპერებთან, სამშენებლო სექტორთან და მათ გავაცანით ჩვენი მიდგომები, დამოკიდებულება და ყველამ მოიწონა და ეთანხმება, რომ აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენ გადავარჩინოთ ძველი თბილისი, შევინარჩუნოთ, რითაც ვამაყობთ ყველა. აუცილებელია ამ რეგულაციების განხორციელება. ყველა ევროპულ ქალაქში, რომელსაც აქვს ისტორიული ნაწილი, არის ეს მიდგომა და დამოკიდებულება. შესაბამისად, ჩვენ უახლოეს დღეებში გვექნება პრეზენტაცია, სადაც მოწვეულები იქნებიან ექსპერტები, სამშენებლო სექტორი, დეველოპერები და კიდევ ერთხელ გავაცნობთ მათ ხედვას და გავაკეთებთ პრეზენტაციას. ამ პროექტის განხორციელებაზე სხვადასხვა ექსპერტთა ჯგუფი მუშაობდა, რომლებსაც მინდა მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის და თანამშრომლობისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ეს მიდგომა და დამოკიდებულება, — განაცხადა კალაძემ.

**კომერსანტი**

# მიხეილ სააკაშვილი: „ვამზადებ საფუძველს ჩემი დაჩქარებული წესით დაბრუნებისთვის“

შორენა მარსაგიშვილი

ხმაურიანი განცხადებების მიუხედავად, ნაციონალებმა რევოლუციის მოწყობა და ხმების დასაცავად ქუჩაში გავარდნა გადაიფიქრეს. „ოცნებაში“ დაასკვნეს, რომ სადაც არის, ნაცები დამთავრდებიანო. ნაცები დამთავრებას არ აპირებენ და არც ნიკა მელია გაჰქცევიათ პარტიიდან, რასაც სახელისუფლებო ძალა აანონსებდა.

დეპრესია და უიმედობა არც მათ ლიდერს, მიხეილ სააკაშვილს ეტყობა. ის თავის მომხრეებს ჰპირდება, რომ საქართველოში დაჩქარებული წესით აპირებს დაბრუნებას და ამისთვის სათანადო ნიადაგსაც ამზადებს.

დაბრუნება იმდენად ეჩქარება, რომ ამ ზაფხულს ყვარელში სპეციალური, ახალგაზრდული სკოლის გახსნას აპირებს.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის თქმით, ეს იქნება სკოლა, სადაც 500-მდე ახალგაზრდას მიიწვევენ.

– სადაც მათთან საუბარი ექნებათ ბრძოლის ახალ ტექნოლოგიებზე, მეთოდებზე, საინფორმაციო მეთოდებზე, სოციალური ქსელების სწორ გამოყენებაზე, რეფორმირებაზე, ანტისაოკუპაციო პოლიტიკაზე, იმაზე, თუ როგორ ამოვათრიოთ საქართველო ჭაობიდან ივანიშვილის მოშორების შემდეგ და, რა თქმა უნდა, ოლიგარქთან ბრძოლის ტაქტიკაზე, სტრატეგიაზე.

ეს იქნება, ახალგაზრდების ბირთვი საქართველოს მომავალი ხელისუფლების, ამიტომ, ბორია, თავს ნუ შეიწუხებ იქ სუსის ხალხის ჩანერგვით, იმიტომ, რომ სიცრუის დეტექტორზე შევამოწმებთ თითოეულ აპლიკანტს და ვერავინ ვერ გაგვიძვრება. ეს კარგად ვისწავლე მე უკრაინაში და სხვაგან და ჩვენ მოვამზადებთ მართლაც ახალ ბირთვს, რომელიც ძველ მებრძოლებთან ერთად შეძლებენ სიტუაციის შემობრუნებას, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნიდან გაძევებული ლიდერი ამბობს, რომ სკოლაში ლექციებს უცხოელები ჩაატარებენ.

– აქ მოვიწვევთ უცხოელებს ლექციების ჩასატარებლად, კულტურის მოღვაწეებს. კულტურული პროგრამა გვექნება, ერთმანეთის გაცნობის პროგრამა გვექნება, კარგად გავუმასპინძლდებით მათ იქ, ვენახებში, აუცილებლად და ეს იქნება ის სკოლა, რომელიც შეადგენს ბირთვს შემდგომში ძალიან მკვეთრი ეტაპისთვის, ჩვენი ოლიგარქის მოშორების შემდგომი მოქმედების.

ასე რომ, ახლა გაჩერების დრო ერთი წამითაც არ არის. ჩვენ ზუსტად ვიცით, რას ვაკეთებთ, – ამბობს საქართველოს მესამე პრეზიდენტი.

თავის გამოსვლაში სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ ადრეც ჰქონდათ ასეთი სკოლა. ეს სკოლა შევარდნაძის დროს მოქმედებდა.

– სხვათა შორის, ცხვარიჭამიაში 2003 წელს გვქონდა ასეთივე სკოლა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებისთვის. ამჯერად, ეს არ იქნება პარტიული სკოლა.

ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, ვინც არის ნიჭიერი, ინოვაციური, ვისაც უნდა საქართველოს გადარჩენა და ვისაც უნდა შემდგომ საქართველოს მართვაში მონაწილეობის მიღება, აქ იქნება მიღებული ჩვენს სკოლაში.

მე თვითონაც ჩავერთვები დისტანციურად, იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, მე ვამზადებ საფუძველს ჩემი დაჩქარებული წესით დაბრუნებისთვის საქართველოში და ბრძოლაში ჩართვისთვის. ასე რომ, თქვენი იმედი მაქვს, ყველაფერი გამოგვივა, სწორად მივდივართ, აბა თქვენ იცით, მომავალ შეხვედრამდე, სწორად მივდივართ. – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



# ჯემალ გამახარია: „გალის რაიონში რაც ხდება, შუა საუკუნეებშიც არ ყოფილა“

გულიკო ბალაძე

რა პრობლემები აქვს ენგურს გაღმა მოსახლეობას? დაცულია თუ არა აფხაზეთში აფხაზების უფლებები? რას გეგმავს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად? ამის თაობაზე ჯემალ გამახარია „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– ბატონო ჯემალ, როგორ გრძნობთ თავს ამ თანამდებობაზე?***

– ნორმალურად. ამ უმაღლესი საბჭოს წევრი დიდი ხანია ვარ, წლების განმავლობაში კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 5 წელი თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. რადიკალური ცვლილება ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა.

თუმცა, გუნდი, რომელიც უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობაში მოვიდა, რეფორმების ჩატარებასა და ბევრად უფრო აქტიურად მუშაობას გეგმავს, ვიდრე ეს ადრე იყო.

***– წლების განმავლობაში გარკვეული პიროვნებები მოითხოვდნენ უმაღლესი საბჭოს გადახალისებას, გარკვეული სახის არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ. ამ კუთხით რაიმეს გეგმავთ?***

– სამწუხაროდ, არჩევნების ჩატარება არც ნაწილობრივ და არც სრულად შეუძლებელია, სანამ ჩვენ დევნილობაში ვიმყოფებით.

***– გამოკლებული დეპუტატების ადგილების შევსებისთვის?***

– ამის სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. სამართლებრივი მექანიზმის შექმნაც შეუძლებელია. შეუძლებელია, აქ – თბილისში, ქუთაისში, აირჩიო სოხუმის, გაგრისა და გულრიფშის დეპუტატი. ამ საკითხში არანაირ ცვლილებას არ ველოდები. ეს არის რეალობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

უმაღლესი საბჭოს ნაწილობრივ კი არა, მთლიანად გადარჩევის შესაძლებლობა რომ იყოს, კარგი იქნება, მაგრამ ამის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. ჩვენი ინსტიტუცია – აფხაზეთის უმაღლესი საბჭო – ამით ლეგიტიმურობას დაკარგავს. ჩვენ კი ლეგიტიმაციას თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით.

***– თავის დროზე თქვენი უმაღლესი საბჭო შეივსო ე.წ. კოოპტაციის წესითაც, აფხაზეთში არჩეული საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატებისაგან. თუკი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რამენაირი განახლება არ მოხდება, ბოლოს ამ ორგანოს თვითლიკვიდაცია ხომ არ ემუქრება?***

– თუ დევნილობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ალბათ, ეს მოხდება, მაგრამ გარკვეული პროექტები გვაქვს, შემდგომში რა უნდა გაკეთდეს.

***– რა უნდა გაკეთდეს?***

– ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, თუმცა პროექტები გაგვაჩნია, რომ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას თავიანთი არჩეული წარმომადგენლები ჰყავდეთ. მაგრამ, ეს არანაირად არ იქნება უმაღლესი საბჭო.

***– დღეისათვის, კონკრეტულად, რა რეფორმების გატარებას აპირებთ?***

– გვინდა ისე გარდავქმნათ უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, ქმედუნარიანი გახდეს და



ძალიან ინტენსიურად მუშაობდეს. ახლა ვატარებთ აპარატის რეორგანიზაციას.

***– შტატებს ამცირებთ?***

– შტატებს არ ვამცირებთ, არც ვზრდით. ვახორციელებთ სტრუქტურულ რეორგანიზაციას ისეთნაირად, რომ სტრუქტურები ორიენტირებული იყოს მუშაობაზე და გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიში ჩაგვაბარონ. დღეს არსებული სტრუქტურა არ არის საქმის გაკეთებისკენ მიმართული. ვისი ბრალია, რატომ და რანაირად მოხდა, ამას არ განვიხილავთ, მაგრამ ეს არის ფაქტი.

ძირითადად უმოქმედო აპარატი გვყავდა, მაგრამ აქ არიან ადამიანები, რომლებსაც მუშაობა შეუძლიათ. ამიტომ ჩვენ შევქმნით ისეთ სტრუქტურას, რომელიც მუშაობაზე იქნება ორიენტირებული.

***– რა მიმართულებით იმუშავებენ?***

– სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებენ. უპირველესად, ჩვენი ამოცანაა, იმ პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ აქვს. მას ჰქვია „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ეს არის ნდობის აღდგენა, შერიგების პოლიტიკა. საჭიროა ამ კარგი დოკუმენტის რეალიზაცია, იმპლემენტაცია. მისი ამოქმედება ძალიან კარგ შედეგს გამოიღებს.

ამიტომ შევქმენით კომისია, რომელიც ორიენტირებულია ენგურს გაღმა მუშაობაზე ქართველ თუ აფხაზ მოსახლეობასთან. ამ საკითხზე ადრეც მუშაობდნენ, მაგრამ არა ორგანიზებულად, გეგმაზომიერად. ჩვენ, უბრალოდ, ვრეაგირებდით რაღაც ფაქტებსა თუ მოვლენებზე და ამით შემოვიფარგლებოდით.

***– აფხაზურ მოსახლეობასთან მუშაობის რესურსი გაქვთ?***

– რესურსი არსებობს. სამთავრობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ – რეალიზება ამის ძალიან კარგ საშუალებას იძლევა. ჩვენ ვლაპარაკობთ აფხაზურ მოსახლეობასთან ურთიერთობასა და მუშაობაზე, მაგრამ არ ვგულისხმობთ მხოლოდ შეხვედრებს და დიალოგს. უბრალო შეხვედრებითა და დიალოგით, სამწუხაროდ, დიდი საქმე ვერ გაკეთდება. საჭიროა იმ ადამიანების კონკრეტულ საქმეში ჩართვა, რომლებიც ენგურს გაღმა ცხოვრობენ.

***– კონკრეტულად, რა საქმეში ჩართვას გულისხმობთ?***

– უპირველესად ვგულისხმობთ ეკონომიკურ-სავაჭრო-სასწავლო და სხვა საქმეს. ენგურს გაღმა დარჩენილ მოსახლეობას ეს საკითხები ძალიან აწუხებს. თუ ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას სათანადო დონეზე დავაყენებთ, ის აუცილებლად მოიტანს კარგ შედეგს.

***– ენგურს გაღმა რა პრობლემებია?***

– აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგების, ნდობის აღდგენის პრობლემა. ენგურს გაღმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს ქართველი მოსახლეობა, რომელიც გაუგონარ დისკრიმინაციას განიცდის. რაც გალის რაიონში ხდება, ასეთი რამ 21-ე საუკუნეში კი არა, შუა საუკუნეებშიც არ ყოფილა. ჩვენ ძალიან სერიოზულ მუშაობას ვგეგმავთ, არა მხოლოდ სიტყვებით.

***– მათ მიმართ რა დისკრიმინაციული ქმედებები ხორციელდება?***

– მე არ ვიცი ადამიანის ისეთი უფლება, რომელიც იქ არ ირღვევა. გალში სრულიად უუფლებო ადამიანები ცხოვრობენ. მათ ექცევიან როგორც მონებს. მხოლოდ რეზოლუციები და განცხადებები არ კმარა. საჭიროა გარკვეული სამართლებრივი ხასიათის ქმედებები.

***– თვით აფხაზების უფლებებზე რას იტყვით? მათი უფლებები აფხაზეთში დაცულია?***

– ეს უკვე ახალი პრობლემაა, ცალკე პრობლემაა, რომელსაც თქვენ აყენებთ. მათ ბევრი პრობლემა აქვთ, განსაკუთრებით, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები არ არის დაცული. ამისთვის პასუხისმგებლობა ოკუპანტ მხარეს ეკისრება, ისევე, როგორც გალის რაიონის ტერიტორიაზე ადამიანების უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი ოკუპანტია.

***– დღეს მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით?***

– დღეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები მიუთითებს რუსეთის გეგმებსა და მიზნებზე პირდაპირ აფხაზი ეთნოსის მიმართ. აფხაზი ეთნოსი, აფხაზური კულტურა, აფხაზური ენა რომ დასაცავია, ეს ჩვენ ძალიან კარგად გვესმის. ამ მიმართულებითაც ძალიან კარგი ნაბიჯები იდგმება როგორც აფხაზეთის, ასევე საქართველოს მთავრობების მხრიდან. მუშაობა უფრო მეტი ინტენსიურობით გაგრძელდება.

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ასეულ ათასი დევნილი ცხოვრობს. გადავწყვიტეთ დევნილ მოსახლეობასთან უფრო ახლო კავშირი გვქონდეს, ვიდრე დღემდე იყო. გარკვეული სტრუქტურის შექმნას ვგეგმავთ, რომ მათთან მუდმივი ურთიერთობა გვქონდეს. ვიცოდეთ მათ წინაშე მდგარი პრობლემები და შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ.

***– დევნილი მოსახლეობის პოლიტიკური უფლებები დარღვეულია. წლების განმავლობაში ვერ ირჩევენ იგივე უმაღლეს საბჭოს. აფხაზეთში, საოკუპაციო რეჟიმის პირობებში აფხაზების პოლიტიკური უფლებები როგორ არის დაცული?***

– საერთოდ, აფხაზური მოსახლეობის პოლიტიკური უფლებები არსებობს, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უფლებებზე, განსაკუთრებით კი, პოლიტიკურზე საუბარი ზედმეტია. როდესაც ოკუპანტი ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, იქ რა პოლიტიკურ უფლებებზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ აფხაზურ მოსახლეობას საშუალება აქვს აირჩიოს დე ფაქტო პარლამენტი, ჰყავდეთ ე.წ. პრეზიდენტი და მთავრობა და ა.შ.

თუმცა, ბოლო კვირეებში აფხაზეთში განვითარებული პროცესები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური უფლებები აფხაზეთში არის ფიქცია. რეალურად, აფხაზ ხალხს სერიოზული პოლიტიკური უფლებები არ გააჩნია, რომ მან საკუთარი თავი მართოს. დამოუკიდებლად შექმნას სტრუქტურები, რომლებსაც აფხაზური მოსახლეობა განაგებს.

არც ე.წ. პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა არ წარმოადგენს იმ ინსტიტუციას, აფხაზი ხალხის ბედს რომ განაგებდეს. აფხაზი ხალხის ბედს წყვეტენ სულ სხვაგან, როგორ წყვეტენ, ეს ჩვენ დავინახეთ. დავინახეთ, რა გაკეთდა, რა მოელით აფხაზებს ოკუპანტის ხელში. რა მზადდება ოკუპანტის მიერ აფხაზი ხალხის წინააღმდეგ სამომავლოდ.

***– რა მზადდება?***

– მე ვსაუბრობ არა მხოლოდ ბოლო დღეებსა და კვირებში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე, ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატის ასლან ბჟანიასა და მისი თანმხლები პირების მოწამვლაზე მოსკოვში, შემდეგ კი, მის მკურნალობაზე იქვე მოსკოვში.

***– იმაზე საუბრობთ, მათი წინამორბედები, ე.წ. პრეზიდენტები რომ გაანადგურეს?***

– დიახ. ახლაც ბჟანია მოსკოვში მოწამლეს და იქვე მოსკოვში „მკურნალობენ“. მკურნალობს ის, ვინც მოწამლა. წარმოგიდგენიათ? აფხაზეთში დაუმორჩილებლობა იყო გამოცხადებული. მოითხოვდნენ არჩევნების ნოემბრამდე გადადებას. 21 მაისს მიიღეს გადაწყვეტილება, ეს „არჩევნები“ ერთი თვით გადადონ, რომ ბჟანიამ მასში მონაწილეობა მოახერხოს. დღეს ბჟანია ისეთ მდგომარეობაშია, ვერც დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდება და ვერც მონაწილეობას მიიღებს. ვის რა გარანტია აქვს, რომ ერთი თვის შემდეგ მომწამვლელების ექიმების ხელში გამოჯანმრთელდება და მონაწილეობას მიიღებს.

ნოემბერში რომ დაენიშნათ, რა ნოემბერში ბჟანიას „არჩევნებში“ მონაწილეობას მიაღებინებენ? დიდად მეეჭვება. დღეს ბჟანია განასახიერებს აფხაზ ხალხს. ის მოწამლეს და ტყვეობაში ჰყავთ. ასევე ტყვეობაში იმყოფება მთელი აფხაზი ერი, რომელიც გადასარჩენია. იმედი მაქვს, აფხაზი ერი ამას ძალიან კარგად მიხვდება და გადარჩენის გზას იპოვის.

***– ტყვეობის პირობებში მყოფ მოსახლეობასთან ნდობას როგორ აღადგენთ?***

– ჩვენ ურთიერთობას ვერ აღვადგენთ საოკუპაციო რეჟიმთან, მაგრამ მოსახლეობასთან ურთიერთობის აღდგენა სავსებით შესაძლებელია. აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგება და ნდობის აღდგენა ჯერ არ მომხდარა. წარმოიდგინეთ, დღევანდელ ვითარებაში აფხაზურ ეთნოსთან შერიგებული რომ ვიყოთ (არ ვლაპარაკობ სრულმასშტაბიან დარეგულირებაზე), ჩვენ მტრად რომ არ გაგვიხილავდნენ, მაშინ სულ სხვა ვითარება იქნებოდა აფხაზეთში. ბჟანიას ვერავინ მოწამლავდა. თუ მოწამლავდნენ, იქ მომწამვლელები კი არ დაიწყებდნენ მის მკურნალობას, არამედ ისეთი ექიმების ხელში აღმოჩნდებოდა, რომლებიც მართლა განკურნავდნენ. რაც ხდება დღეს აფხაზეთში, მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენ შორის ნდობის აღდგენა.

# შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიმართვა გაფიცულ თანამშრომლებს

„ჯორჯიან მანგანეზი“ გაფიცულ თანამშრომლებს მიმართავს, განცხადების ტექსტს „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

– ძვირფასო თანამშრომლებო, 2019 წლის 15 მაისიდან დღემდე განვითარებული მოვლენებიდან იკვეთება შემდეგი:

შპს ჯორჯიან მანგანეზის („კომპანია“) დასაქმებულთა ნაწილმა 2019 წლის 15 მაისს სამუშაო ადგილებზე გასვლასა და სამუშაოს შესრულებაზე უარი განაცხადა;

15 მაისს სამუშაოზე გაუსვლელ დასაქმებულებს, მოგვიანებით, ეტაპობრივად შეუერთდნენ სხვა თანამშრომლებიც;

დასაქმებულების მიერ სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმამ მიიღო კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის კოლექტიური დავის ფორმა, რომელსაც ახლავს დასაქმებულების გაფიცვა;

კანონით დადგენილია, რომ კოლექტიური დავა უნდა გადაწყდეს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვის ან მედიაციის გზით;

კომპანიამ არაერთხელ სცადა და მოუწოდა თანამშრომლებს პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებისკენ, თუმცა დასაქმებულებმა მოლაპარაკებებისთვის წარმომადგენლების გამოყოფაზეც კი უარი განაცხადეს;

დავის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების მიერ დაინიშნა მედიაცია და გამოიგზავნა მედიატორი, თუმცაღა, დასაქმებულებმა, ასევე, უარი თქვეს მედიაციაში მონაწილეობასა თუ მედიატორთან თანამშრომლობაზე და არც მედიატორთან თანამშრომლობისთვის გამოყვეს წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებების საჭიროებასა და, ზოგადად, პროცესების კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოში წარმართვაზე დასაქმებულებს მუდმივად ესაუბრებოდა სხვადასხვა უწყება, მათ შორის – მედიატორი, დასაქმებულებმა არ გაითვალისწინეს არც ერთი გაფრთხილება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოლაპარაკებებსა და მედიაციისათვის თავის არიდება გაფიცვის დროს არის უკანონო.

წარმომადგენელთა არგამოყოფა განიხილება, როგორც მიზანმიმართული ქმედება, რათა იმთავითვე არ მოხდეს დავის დარეგულირება მოლაპარაკებების ფორმატში.

თითოეული დასაქმებული, რომელიც არ ცხადდება სამსახურში, მიიჩნევა უკანონო გაფიცვაში მონაწილედ.

უკანონო გაფიცვაში დასაქმებულის მონაწილეობა არის კომპანიის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისა და დასაქმებულის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, კომპანია იწყებს სასამართლოსა და სამართალდამცავებისთვის მიმართვის პროცესს, – აღნიშნულია „ჯორჯიან მანგანეზის“ მიმართვაში.

**კომერსანტი**

# აბასთუმანში ავტოსადგომის მოწყობაზე 9-მილიონიანი ტენდერი ხელახლა გამოცხადდა



ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბასთუმანში ღია ავტოსადგომის მოწყობის მიზნით ტენდერი ხელახლა გამოცხადდა.

სადგურისა და ღია ავტოსადგომის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესყიდვის მიზნით, ტენდერი მეორედ 21 მაისს გამოცხადდა.

სატენდერო პირობების თანახმად, წინადადებების მიღება 8 ივნისს დაიწყება და 13 ივნისს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი 9.028.361 ლარია. როგორც სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული, ავტოსადგომი გათვლილი უნდა იყოს 4.2 ჰა ტერიტორიაზე 1.000 ავტომობილზე.

– საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს: ღია ავტოსადგომი მინიმუმ 1.000 მანქანაზე. აქედან – 200 ავტოსადგომი ელექტრომანქანისთვის, სატენი პორტალებით, რომელთაგან 100 ავტოსადგომი უნდა იყოს გადახურული; 10 ავტობუსის ავტოსადგომი; ავტოსადგომის ტერიტორიაზე შესასვლელ/გამოსასვლელი გზების მოწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ნაგებობებით/კონსტრუქციებით (მაგ. ხიდი) და მათი დაკავშირება ცენტრალურ სამანქანო გზასთან.

ავტოსადგომის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების ოპტიმალური გადაწყვეტა; სამანქანო შესასვლელ-გასასვლელი შლაგბაუმით/ბოლარდებით (ავტომატური, მიწაში ჩამავალი); საფეხმავლო შესასვლელი და გასასვლელი; ავტოსადგომის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკები (გამოყოფილი მანქანის სავალი ნაწილიდან); შესასვლელსა და გასასვლელში ბილეთების შესაძენი და დასარეგისტრირებელი აპარატები, – აღნიშნულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სატენდერო პირობების თანახმად, ტერიტორიაზე იგეგმება ასევე მცირე სადგურის მოწყობაც, რომლის მოსაცდელი ფართი მინიმუმ 150 ადამიანზე იქნება გათვლილი. სადგური მოემსახურება საზოგადოებრივ ტრანსპორტს სტუმართა გადასაყვანად ავტოსადგომიდან დაბა აბასთუმანში.

ტენდერი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილის დაპირებას უკავშირდებოდეს. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ აბასთუმანი ელექტრომანქანების დასახლებად ექცია. მისი თქმით, სახელმწიფოს არ აქვს საშუალება და ადგილობრივებს თვითონ დაეხმარებოდა.

მოვახერხებ, რომ წელსვე პრეცედენტი შეიქმნას და აბასთუმანში იმოძრავებენ მხოლოდ ელექტრომანქანები, – აღნიშნა ივანიშვილმა გასულ წელს. მისივე თქმით, აბასთუმანში 800 ოჯახი ცხოვრობს და ზოგს უყიდის ელექტრომანქანას, ხოლო ზოგს სხვა მხრივ დაეხმარება.

ცნობისთვის, აბასთუმანში ავტოსადგომისა და სადგურის მოწყობის მიზნით, ტენდერი აპრილშიც გამოცხადდა. რომელშიც ყველაზე დაბალი ფასი წარადგინა – ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) აბსოლუტ სერვისი და კომპანია ბლექ სი გრუპმა, თუმცა, კომპანიას ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია მისცეს.

**BPN**

# რომან კაკულია საბანკო რეგულაციების გადახედვის საჭიროებას ხედავს

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე საბანკო რეგულაციების შემსუბუქების აუცილებლობაზე საუბრობს.



რომან კაკულიამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ გარკვეული ცნობიერების ამაღლების ნაწილში ამან უკვე იმუშავა.

– გრადაცია შესაძლოა, უმნიშვნელოდ გაკეთდეს. დარწმუნებული ვარ, ეს რეგულაცია რომ მოვხსნათ, იმავე შედეგს ნამდვილად არ მივიღებთ. დარწმუნებული ვარ, გარკვეული შემსუბუქება მოხდება, – აღნიშნა რომან კაკულიამ.

კაკულიას მიაჩნია, რომ რეგულაციების შემსუბუქებასთან დაკავშირებით შესაძლოა ჯგუფების დაკონკრეტება და შესაძლოა ზედა ზღვარის დაწესება.

უსამართლობად საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს მათ მიმართ, ვისაც აღურიცხავი შემოსავალი აქვს.

**gbc.ge**



# საქართველოს ნავსადგურებში საკონტეინერო გადაზიდვები 37%-ით გაიზარდა

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი, ჰაბ ჯორჯიას ექსპერტი, პაატა ცაგარეიშვილი „კომერსანტთან“ მზარდ საკონტეინერო გადაზიდვებზე საუბრობს. მისი განცხადებით, 2019 წლის იანვარ-აპრილში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებში საკონტეინერო გადაზიდვების 37%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ასეთი სცენარით განვითარების პირობებში, ლოგიკურად შესაძლოა დაისვას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული შეკითხვა:

რა ფაქტორები განაპირობებს ნავსადგურებში საკონტეინერო ნაკადის ზრდის ესოდენ მაღალ დინამიკას და რამდენად შენარჩუნებული იქნება ეს ტრენდი?

ზრდის ასეთი ტენდენცია ხომ არ გამოიწვევს ახლო მომავალში საქართველოს ნავსადგურებში საკონტეინერო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის ამოწურვას?

თანამიმდევრულად რომ მივყვეთ, რა ფაქტორებმა იმოქმედა საკონტეინერო ნაკადის ზრდაზე, აქ შესაძლოა ფაქტორთა ერთობლიობაზე გამახვილდეს ყურადღება, პირველი და მნიშვნელოვანი – საქართველოში და მთლიანად რეგიონში მშპ-ს მზარდი ტემპია.

საქართველოში სტაბილურად მშპ-ს 5%-იანი ზრდა ფიქსირდება, საგრძნობია აზერბაიჯანის მაჩვენებელი, კერძოდ, თუ 2018 წელს სტაბილურად 1.3%-ს შეადგენდა, წელს უკვე 3%-ია, რაც მთავარია, ცენტრალური აზიის ქვეყნებში შენარჩუნებულია, ზრდის მაღალი 6-8%-იანი ტრენდი. საკონტეინერო ნაკადის ჩვენს ნავსადგურებში გადმორთვის თვალსაზრისით, ირანისათვის დაწესებულმა სანქციებმა დადებითად იმოქმედა.

კვლევების თანახმად, მშპ-ს 1%-იანი ზრდა – ნავსადგურებში და მთლიანად სატრანპორტო სექტორში 3-5%-იანი საკონტეინერო ტვირთების ზრდის მაჩვენებლით აისახება.

ცალკე გამოსაყოფია, ტრანსკასპიური მარშრუტის (რომლის ძირითადი მონაწილეები აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის და უკრაინის სატრანსპორტო კომპანიებია) და კასპიის ზღვის აუზში მისი საკვანძო ნავსადგურების (ბაქო, აქტაუ/კურიკი, თურქმენბაში) გააქტიურება, უფრო მეტიც, დერეფნის სახელმწიფოთა მთავრობების მხრიდან, ტრანსკასპიური მარშრუტის მმართველი ორგანოს, ინსტიტუციონალური ინსტრუმენტებით აღჭურვამ, ბიძგი მისცა ცენტრალური აზიის და ჩინეთის სრულფასოვან ჩართვას საკონტეინერო გადაზიდვებში.

ზოგადად, ციფრები ასეთია – ბაქო – აქტაუ – ბაქოს მიმართულებაზე 2017 წელი 18.191 კონტეინერი, 2018 წელი 20.393 კონტეინერი ზრდა 12%. ბაქო – თურქმენბაში – ბაქო 2017 წელი – 6.808 კონტეინერი, 2018 წელი – 8.265 კონტეინერი ზრდა 21%. 2019 წლის 4 თვეში აღნიშნული ტრენში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

საგრძნობია, ჩინეთის საკონტეინერო ნაკადის, ზრდის ტენდენციები. რა თქმა უნდა, გადაზიდვები, რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ დერეფანთან შედარებით, ბევრად მცირეა, მაგრამ, ტრანსკასპიური მარშრუტით, მზარდი ტრენდი, ფიქსირდება, კერძოდ, 2016წ – 132 კონტეინერი, 2017წ – 198 კონტეინერი, 2018წ – 1.332 კონტეინერი, 2019წ 2 თვე – 892 კონტეინერი.

საკონტეინერო ნაკადის ზრდის დინამიკაზე, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია, ყაზახეთის როგორც ტვირთნაკადის მაფორმირებელი ქვეყნის სატრანსპორტო სტრატეგიამ. უფრო კონკრეტულად, თუ 10 წლის წინ, 2009 წელს ყაზახეთის – აქტაუს ნავსადგური, ძირითადად ნავთონის და ნავთოპროდუქტების გატარებაზე/გადამუშავებაზე იყო ორიენტირებული, კერძოდ, ნავსადგურის ტვირთბრუნვის 13 მლნ ტონიდან 11 მლნ ტონას ნავთობი და ნავთობროდუქტები წარმოადგენდა, სადღეისოდ სურათი დიამეტრალურად შეცვლილია, 2018 წელს ნავსადგურში ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა მხოლოდ 2.2 მლნ ტონა შეადგინა, ხოლო, ისედაც დრამატულად შემცირებული მშრალი ტვირთების, ეკონომიკურად არაეფექტური, მცირე წარმადობის ბორნებით გადაზიდვის გამო, ტრანსკასპიური მარშრუტის, განვითარების მიზნით, ყაზახეთის მიერ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება კასპიის ზღვაზე ფიდერული საკონტეინერო გადაზიდვების ორგანიზების შესახებ.

ტრანსკასპიური მარშრუტის გააქტიურებასა და სათანადო ინსტიტუციონალური ინსტრუმენტებით აღჭურვაში, პირველ რიგში იგულისხმება – დერეფნის სატრანსპორტო კომპანიების კოორდინაცია მრავალი მიმართულებით, პირველ რიგში კი, სატარიფო პოლიტიკის კუთხით.

2019 წლის აპრილში, კიევში მიღებული იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება საკონტეინერო გადაზიდვებზე, „გამჭოლი“ ტარიფის დაწესების და მოქმედ ტარიფთან შედარებით 25% ით შემცირების შესახებ. კერძოდ, ყაზახეთ/ჩინეთის საზღვრიდან – აქტაუ/კურიკის ნავსადგურების გავლით – ბათუმი/ფოთის ნავსადგურებამდე (4.464 კმ) 40 ფუტიანი კონტეინერისათვის, დაწესებული „გამჭოლი“ ტარიფი 1.984 აშშ დოლარი, ალტერნატიულ დერეფნებთან მიმართებაში კონკურენტულად უნდა ჩაითვალოს. საკონტეინერო ნაკადის მოზიდვაში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, აქტაუ – ბაქოს საზღვაო მხარზე 20 ფუტიანი კონტეინერის გადაზიდვის ღირებულების 460 აშშ დოლარამდე შემცირებამ.

დამატებით დინამიზმს მატებს ყაზახეთის გადაწყვეტილება, 2019 წლიდან, აქტაუ – ბაქოს მიმართულებაზე, რეგულარული ფიდერული საკონტეინერო გემის „თურქესტანის“ დაყენების შესახებ. ყაზახური მხარე ვარაუდობს, ჩინეთის ტვირთნაკადის მოზიდვა უზრუნველყოს სწორედ აღნიშნული საკონტეინერო მარშრუტით, რომელშიც საკონტეინერო ნაკადის კონსოლიდაცია განხორციელდება, ყაზახეთ – ჩინეთის საზღვარზე განთავსებული ხორგოსის ლოგისტიკური ცენტრის გამოყენებით.

ყაზახეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებით საგრძნობია ტრანზიტად გადაზიდული კონტეინერების ზრდის დინამიკა, 2017 წელს 347 ათ. TEU, 2018 წელს – 537 ათ. TEU, 2019 წელს გათვალისწინებულია 824 ათ. TEU ს გატარება.

სატრანსპორტო სფეროში, ყაზახეთის გადაწყვეტილება, საკონტეინერო ტვირთნაკადების აქტივიზაციის შესახებ, მკაფიოდ ეწერება ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ „ნურლი ჟოლ“ პროგრამაში, რომელიც, პირველ რიგში, ითვალისწინებს სატრანსპორტო – ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ეფექტურ განვითარებას.

რაც შეეხება პროგნოზებს – ყაზახეთის რკინიგზის საკონტეინერო ოპერატორის KTZ Express-ის გათვლებით, დამატებითი რეგულარული ფიდერული საკონტეინერო გემების ამოქმედებით შესაძლებელი იქნება 2020 წლისათვის, ბაქო – აქტაუ – ბაქოს მიმართულებით 40 000 ერთეული კონტეინერის გადაზიდვა, სადაც 60% ჩინეთის სატრანზიტო, ხოლო 40% ყაზახეთის საექსპორტო ტვირთები იქნება. რისთვისაც ყაზახური მხარე ვარაუდობს დამატებით „კაზმორფლოტის“ კუთვნილი 4 გემის ჩართვას. 2023 წლისათვის კი 300.000 ერთეულ კონტეინერს მიაღწევს გადაზიდვის მოცულობები.

აქტაუს ნავსადგურსა და მსოფლიოს უმსხვილეს, საკონტეინერო ხაზს CMA CGM შორის გაფორმებული გრძელვადიანი თანამშრომლობის მემორანდუმი, ტრანსკასპიური მარშრუტით, საკონტეინერო გადაზიდვების დამატებითი პერსპექტივების შესაძლებლობებს იძლევა.

ზრდის ასეთი ტენდენცია ხომ არ გამოიწვევს ახლო მომავალში საქართველოს ნავსადგურებში საკონტეინერო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის ამოწურვას?

სადღეისოდ, ფოთის ნავსადგურის საკონტეინერო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა, წელიწადში 550.000 ერთეულ კონტეინერს, ხოლო ბათუმის ნავსადგურის 100.000 ერთეულ კონტეინერს წარმოადგენს.

2019 წლის იანვარ-აპრილში ფოთის ნავსადგურში გადამუშავებული იყო 157.070 ერთეული კონტეინერი (85%), ბათუმის ნავსადგურში 25.293 ერთეული კონტეინერი (15%), თუ გავითვალისწინებთ, საკონტეინერო გადაზიდვების ზრდის არსებულ ტენდენციას, არა მარტო საქართველოს, არამედ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნავსადგურებში, ადვილად პროგნოზირებადია, რომ ფოთის და ბათუმის გამტარუნარიანობის შესაძლებლობები 2020 წლისათვის სრულად იქნება ათვისებული, ხოლო ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის შეჩერების პირობებში, საქართველოს სატრანსპორტო დერეფნით, ცენტრალური აზიიდან/სკენ ორიენტირებული საკონტეინერო ნაკადი, ალტერნატიული რუსეთზე გამავალი დერეფნებით და იქიდან, კონკურენტი რუსეთის ნავსადგურებით გადამისამართების და დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.

ასეთ ვითარებაში, შესაძლოა დაისვას კითხვა, უშუალოდ ფოთის ნავსადგურის მენეჯმენტი თუ მოელოდა საკონტეინერო ნაკადის ზრდის ასეთ დინამიკას, აქ საგულისხმოა ერთი გარემოება – 2018 წლის ივნისში – ბათუმში გამართულ „შავი და კასპიის ზღვების საერთაშორისო ფორუმზე“, აი პი ემ ტერმინალსის ხელმძღვანელის პრეზენტაციაში, საკონტეინერო გადაზიდვების ზრდის პროგნოზში არცთუ ისე დამაიმედებლად გამოიყურებოდა და საშუალოდ 2-3%-იანი ზრდის ტრენდით ხასიათდებოდა. რაც გვიბიძგებს გავაკეთოთ დასკვნა, რომ უშუალოდ აი პი ემ ტერმინალსიც არ იყო მზად ნავსადგურში საკონტეინერო გადაზიდვების ასეთი სცენარით განვითარებაზე.

როდესაც საუბარია ფოთის და ბათუმის ნავსადგურებში 2020 წლისათვის საკონტეინერო ტვირთების გამტარუნარიანობის სიმძლავრეების ამოწურვაზე, აუცილებელია, ამავე კონტექსტში იქნეს განხილული აქტაუს და ბაქოს ნავსადგურების შესაძლებლობები.

დღევანდელი მდგომარეობით, აქტაუს ნავსადგურის წლიური გამტარუნარიანობა 40.000 ერთეული კონტეინერია, მაშ შემდეგ, რაც ნავსადგურისათვის აქტუალური გახდა, საკონტეინერო ტვირთებზე აქცენტის გადატანა, ეტაპობრივად ხდება ახალი ამწე დანადგარების შეძენა, საწყობების კონფიგურაციის შეცვლა და ახალი სერვისების დანერგვა, რითაც აქტაუს ნავსადგურის სიმძლავრე საკონტეინერო ტვირთების გადამუშავების თვალსაზრისით 100.000 ერთეულს მიაღწევს. აღნიშნულ დონეზე საკონტეინერო სიმძლავრეების გაზრდა სრულად დააკმაყოფილებს დერეფნის სარკინიგზო კომპანიების და ჩვენი ნავსადგურებისათვის ზრდადი საკონტეინერო ნაკადით მომარაგებას.

**კომერსანტი**

# ალაიანში 17 წლის დედამ 7 თვის ჩვილი გაგუდა და მიიმალა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ალაიანში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე 2002 წელს დაბადებული მ.შ. ცხელ კვალზე დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და კასპის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 2002 წელს დაბადებული მ.შ. ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მ.შ-მ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ალაიანში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, 7 თვის შვილი გვიან ღამით საწოლში გაგუდა და სახლიდან გაიქცა. სამართალდამცველებმა მ.შ.-ს ადგილსამყოფელი რამდენიმე საათში დაადგინეს და დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ალაიანში მომხდარი ტრაგედიის დეტალებს მოკლული ჩვილის ახლობლები ყვებიან. როგორც ჟურნალისტებს გარდაცვლილი ბავშვის ახლობელმა მარიამ დემეტრაშვილმა განუცხადა, ჩვილი ბავშვი მამამ გარდაცვლილი საწოლში იპოვა.

– მამამ გამთენიისას იპოვა შვილი გაგუდული. ბავშვი ჩაცმულ მდგომარეობაში საწოლში იწვა. დაიწყო ცოლის ძებნა, ვერსად იპოვა. ოჯახში ატყდა ამბავი. ბავშვის მამამ საკუთარ მამას დაუძახა, რადგან ცოლი ვერსად იპოვა, ამიტომ ეჭვი გაჩნდა. რატომ გაიქცა, თუ მას არაფერი დაუშავებია?

პოლიცია ადგილზე მალევე მოვიდა. ბავშვის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს. ჯერჯერობით ექსპერტიზის პასუხი ცნობილი არ არის.

დაკავების შემდეგ დედამ დანაშაული აღიარა. ის დეტალურად მოყვა, რა და როგორ ჩაიდინა. ბავშვის დედა ყვება, რომ მას შემდეგ, რაც მეუღლემ დაიძინა და დაიძინეს ოჯახის სხვა წევრებმა, საკუთარი ხელით გაგუდა ბავშვი. მოტივი რა იყო, არ ვიცი. როგორც ყვება, ქმრის გამწარება უნდა, ოღონდ არ უჩხუბიათ, რამე კონფლიქტის სერიოზული მიზეზი არ ყოფილა არც ქმართან და არც ოჯახის წევრებთან. ვერც ქმრის და ვერც გოგოს მხარე ვერაფრით ხსნის, რა შეიძლება ამის მიზეზი ყოფილიყო.

რა ვითარებაში დააკავეს ბავშვის დედა, არ ვიცი, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვილაც ბიჭს ჩააკითხა. ოჯახს ამ გოგოს დასჯა უმკაცრესი წესით უნდა, – განაცხადა მარიამ დემეტრაშვილმა.

როგორც გოგონას მეუღლის ოჯახის წევრები აცხადებენ, არასრულწლოვანმა შვილის მკვლელობის შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა, სახლიდან ოქროს ნივთები და ფული წაიღო და სახლი დატოვა.

ის მეორე დილას თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროში დააკავეს.

❖ ❖ ❖

16 წლის გოგონას ფსიქიატრიული ექსპერტიზაც ჩაუტარდება. ბრალდებული წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი, სადაც ის ადვოკატმა მოინახულა.



ადვოკატი საქმის დეტალებზე არ საუბრობს. ამბობს, რომ არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე ბრალის წარდგენამდე ინფორმაციას ვერ გაასაჯაროებს.

– საღამოს წარედგინება ბრალი, მანამდე ინფორმაცია არ მაქვს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის არასრულწლოვანი და მისივე ინტერესებიდან გამომდინარე მე ინფორმაციას ჯერ ვერ განვდით, – ამბობს ადვოკატი ქეთი გაგოევი.

16 წლის მ.შ. წარმოშობით ქუთაისელია და 20 წლის ალაიანელ ბიჭზე იყო დაქორწინებული.

მ.შ-ს ნათესავები მზრუნველ დედად და მხიარულ გოგონად ახასიათებენ და ამბობენ, რომ არ სჯერათ მის მიერ ამ დანაშაულის ჩადენის:

– არ ვიცით, რა მოხდა, ახლახან გავიგეთ და ვერ ვიჯერებთ. კარგი დედა იყო, ბავშვზე ზრუნავდა, ყოველდღე დებდა მის ფოტოებს ფეისბუქზე. წარმოუდგენელია ასეთი რამ! არ ვიცით, რა მოხდა. მხიარული ადამიანია, პოეზია უყვარს, თვითონაც წერდა ლექსებს. იმედია, გაირკვევა სიმართლე.

მ.შ-ს კიდევ ერთი ახლობელი აცხადებს, რომ გოგონა ბავშვს კარგად ექცეოდა და, სავარაუდოდ, არც მეუღლესთან ჰქონია კონფლიქტი:

– არ ვიცით, რა მოხდა და ვერ ვიჯერებთ ამ ამბავს! კარგი დედა იყო, მეუღლესთანაც არ ჰქონია პრობლემა, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით, არც ეტყობოდა. ჩვეულებრივი ოჯახი იყო.

ბავშვის გარდაცვალება მამისგან გავიგეთ. ის გოგონას ოჯახს დაუკავშირდა და უთხრა, ბავშვი გარდაცვლილია და მეუღლეს ვერ ვპოულობო. მეტი არაფერი ვიცოდით, დღეს გავიგეთ, რაშიც ედება ბრალი, – ამბობს მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვნის ახლობელი.

კითხვაზე, რატომ დაუშვა ოჯახმა არასრულწლოვანის დაოჯახება და ხომ არ ჰქონდა გოგონას კონფლიქტი საკუთარ ოჯახში, დეტალებზე საუბარს თავს არიდებს და ამბობს:

– ოჯახმა არ იცოდა, გათხოვებას თუ აპირებდა, რომ გაიგეს, შეეგუვნენ, დაფეხმძიმდა და ოჯახი ბედნიერი იყო. მე ვერ ვიტყვი ვერაფერს, რატომ დაუშვეს არასრულწლოვნის გათხოვება და მშობიარობა. დეტალებზე ვერ ვისაუბრებ.

მას პრობლემები არც საკუთარ ოჯახთან ჰქონია, შეიძლება იყო კამათი, როგორც ყველა მოზარდს აქვს, მაგრამ სერიოზული არაფერი გამიგია, – განაცხადა დაკავებულის ოჯახის ახლობელმა ამბები ჯი-სთან საუბარში.

# დააკავეს ზ.ჯ., რომელსაც ცოლი და 2 შვილი სახლში ჰყავდა ჩაკეტილი და მოკვლით ემუქრებოდა

პოლიციამ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მუქარის ბრალდებით თბილისში ერთი პირი დააკავა.

შსს-ს ცნობით, მას ბინაში მეუღლე და ორი შვილი ჰყავდა ჩაკეტილი და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მუქარის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული ზ.ჯ. დააკავეს.

ვაკე-საბურთალოს სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, მოქალაქეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჩაკეტილი ჰყავდა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებზეც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

სამართალდამცველები შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს დროში გამოცხადდნენ ადგილზე. პოლიციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, მოქალაქე არ გამოდიოდა კავშირზე და კარს არ აღებდა. ადგილზე გამოძახებულ იქნა სამართალდამცველთა დამატებითი ჯგუფები და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებმაც საცხოვრებელ ბინაში სპეცტექნიკის გამოყენებით შეაღწიეს და ზ.ჯ. დააკავეს“ – აცხადებენ შსს-ში.

დაკავებულის ოჯახს საფრთხე აღარ ემუქრება.

შსს-ში აცხადებენ, რომ გამოძიება ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მუქარის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა და 11-პრიმა 151-ე მუხლებით მიმდინარეობს.

# რუსთავში ერთმანეთს 3 მანქანა შეეჯახა

რუსთავში, მე-17 მიკრორაიონში, მოდებაძის ქუჩაზე ერთმანეთს 3 მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

თვითმხილველების თქმით, თავდაპირველად ერთმანეთს ბეემვეს და ტოიოტას მარკის ავტომობილები შეეჯახნენ, შემდეგ კი ბეემვეს მარკის ავტომობილი გზაზე გაჩერებულ მერსედესს დაეჯახა.

სრული დეფორმაცია განიცადა ტოიოტას მარკის ავტომობილმა, მაშველებს დაშავებული მძღოლის გადმოსაყვანად კარის სპეციალური ტექნიკით გახსნა დასჭირდათ. დაშავებული მძღოლი კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანეს.

ბეემვეს მარკის ავტომობილი თხევად გაზზეა, რის გამოც უსაფრთხოების მიზნით ადგილზე მისული იყო სახანძრო-სამაშველო ჯგუფიც.

# ხორავაზე მკვლელობის საქმეში დ.ღ.-ს 2 წელი და 3 თვე მიესაჯა

## „ჩემს შვილს შეაწმინდეს ხელი ბოლომდე“



გუშინ, 22 მაისს, ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე ცრუ ჩვენების საქმეზე ბრალდებულ დ.ღ-ს პატიმრობა მიესაჯა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თუმცა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა და საბოლოოდ, 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

დ.ღ. სასამართლო დარბაზში დააკავეს.

მას ასევე პატიმრობაში გატარებული 6 თვე სასჯელის მოხდად ჩაეთვლება. დ.ღ. საპატიმროში 1 წელს და 9 თვეს გაატარებს.

მოსამართლის გადაწყვეტილება არასრულწლოვანის ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა გააპროტესტეს. დარბაზში ისმოდა გინებაც.

– რატომ, რისი გულისთვის უშვებთ ციხეში? – მიმართეს მოსამართლეს დ.ღ.-ს ახლობლებმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას დაკავებულის მამის უკმაყოფილება მოჰყვა.

– ეს არის სამართალი? ეს რა გააკეთეს. მაქსიმუმ ველოდებოდით პირობითს, იმიტომ, რომ არასრულწლოვანი იყო მაშინ. ყველას პირობითი აქვს. ყველა ერთმანეთს დაუპირისპირეს. სამაგალითოდ დასაჯეს ამ მთავრობამ, პროკურატურამ, შეაწმინდეს ხელი ბოლომდე.

ჩემი ადვოკატი გაასაჯაროებს ჩანაწერებს, სარალიძის ჩანაწერსაც გავასაჯაროებთ. პროკურორებმა რომ იცრუეს სასამართლოზე, იმასაც გავასაჯაროებთ. გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები. გამოვიდა საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, გამოვიდნენ კომისიის წევრები, ჩემი შვილი რომ დაიჭირეს, ყველამ თქვა, რომ ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი, ახლა გეკითხებით, სად არის წინგადადგმული ნაბიჯი. ვინ დაიჭირეს, რა გააკეთეს, – აღნიშნა კახა ღლონტმა.

დ.ღ. 2017 წლის 1 დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში დააკავეს.

მოგვიანებით ის 5.000 ლარიანი გირაოს საფუძველზე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

არასრულწლოვანს ექვსთვიანი საპატიმრო ვადა 19 იანვარს ეწურებოდა.

# ჩაწყობილი თამაშების საქმეზე 4 ფეხბურთელს პატიმრობა შეეფარდა, 7-ს კი — 10.000 ლარიანი გირაო

გუშინ, 22 მაისს, გარიგებულ მატჩების საქმეზე ბრალდებულ ვახტანგ ჯაყელს, ირაკლი ხუჭუას, ლაშა ჩაფიძეს და ნიკა დაუშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.



მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ყოფილ ფეხბურთელებს ნიკა დაუშვილს, ვახტანგ ჯაყელსა და ლაშა ჩაფიძეს, ასევე საფეხბურთო კლუბ „ჭიათურას“ ფეხბურთელს, ირაკლი ხუჭუას პატიმრობა შეუფარდა.

რაც შეეხება დარჩენილ ბრალდებულებს, მოსამართლემ მათ პატიმრობის უზრუნველყოფით გირაო შეუფარდა.

ირაკლი ბაჯელიძეს, რობერტ იმერლიშვილს, ჯონი შეროზიას, გიორგი გეთიაშვილს, პაატა ღუდუშაურს, ნიკოლოზ მაისურაძეს და ნოდარ კიკნაველიძეს სასამართლომ 10-10 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა საპატიმრო უზრუნველყოფით.

გირაოს შეტანის ვადად 20 დღე განისაზღვრა. შვიდივე ბრალდებული საპატიმროს გირაოს გადახდის შემდეგ დატოვებს.

დაკავებულ სპორტსმენებს ბრალი ოფიციალურად 21 მაისს წაუყენეს.

სუს-ის ინფორმაციით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები დანაშაულებრივად უკავშირდებოდნენ საფეხბურთო კლუბების ფეხბურთელებს და გარკვეული თანხის სანაცვლოდ ურიგდებოდნენ მოწინააღმდეგე გუნდთან წინასწარ შეთანხმებული ანგარიშით ე.წ. „ჰანდიკაპით“ – ორი ან მეტი ბურთით წაგებაზე.

სუს-ის განცხადებით, აღნიშნულის შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა და ფეხბურთელებმა ჯამში მიიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა – 93.500 ლარი.

გამოძიება პროფესიული სპორტული შეჯიბრების მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

# იტალიაში ავტობუსის გადაბრუნების შედეგად საქართველოს 2 მოქალაქე ჰოსპიტალში მოხვდა



გუშინ, 22 მაისს, იტალიაში ავტობუსი გადაბრუნდა. მასში სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

ავტობუსში მყოფი საქართველოს 8 მოქალაქიდან დაზიანება არც ერთს არ მიუღია.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ვლადიმერ კონსტანტინიდმა განაცხადა.

– იტალიურმა მხარემ დაადასტურა, რომ ტურისტულ ავტობუსში, რომელიც მოძრაობდა სიენადან ფლორენციის მიმართულებით, იმყოფებოდა საქართველოს 8 მოქალაქე. არც ერთ მათგანს დაზიანება არ მიუღია, მხოლოდ ორია ჰოსპიტალიზებული.

როგორც ექიმები აცხადებენ, ჰოსპიტალიზაციის მიზანი იყო, რომ მათ მოხსნოდათ ავარიის შედეგად მიღებული შოკი და არც ერთი მათგანის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სულ ავტობუსში იმყოფებოდა 55 ადამიანი, აქედან 36 არის დაშავებული და ისინი უცხო ქვეყნების მოქალაქეები არიან, – განაცხადა კონსტანტინიდმა.

# პატრიკ შენაჰენი: „ირანის საფრთხე არსებობს, მაგრამ შემცირდა“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ირანი გათავხედდა. საფრთხე, რომელიც ირანიდან მომდინარეობს, იზრდება.

– მსურს ირანის ხელმძღვანელობა გავაფრთხილო: ამერიკელ ჯარისკაცებზე ნებისმიერ თავდასხმას დამანგრეველი პასუხი მოჰყვება! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შენაჰენმა განაცხადა, რომ გატარებული კოპლექსური ღონისძიებების შედეგად ირანიდან მომდინარე საფრთხე შემცირდა, მაგრამ ნულამდე არ არის დასული.

– ამერიკა მოვლენების ნებისმიერი სცენარისათვის მზადაა, – განაცხადა შენაჰენმა.

# აშშ თურქეთს 2 კვირას აძლევს, რომ უარი თქვას რუსული სი-400-ის შეძენაზე

აშშ თურქეთს ორი კვირის ვადას აძლევს, რომ უარი თქვას რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს სი-400-ის შეძენაზე და შეიძინოს ამერიკული ანალოგი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისა პეტრიოტი.

ამის შესახებ ამერიკული მედია იუწყება.



ივნისის პირველი კვირის დასრულებამდე თურქეთმა უნდა გააუქმოს რუსეთთან შეთანხმება და იყიდოს ამერიკული პეტრიოტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანკარას ემუქრება პროგრამა ლოკჰიდ მარტინიდან გარიცხვა, შეპირებული 100 თვითმფრინავის – ფ-35-ის კონფისკაცია, ამერიკის მხრიდან სანქციების დაწესება და ნატო-ს მხრიდან პოტენციური შედეგები.

ეს სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან უკანასკნელი გაფრთხილებაა.

– ნატო-ს ქვეყნებმა უნდა შეიძინონ საბრძოლო ტექნიკა, რომელიც თავსებადია ნატო-ს სისტემებთან. რუსული სისტემა ვერ შეესაბამება ამ სტანდარტს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ თურქეთი შეეჯახება რეალურ და ნეგატიურ შედეგებს, თუკი ის დაასრულებს რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის შეძენას, – განუცხადა მედიას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ნიანგი შიშველი ხელებით დაიჭირა

ჩრდილოეთ ავსტრალიაში მამაკაცმა მდინარეში შიშველი ხელებით დაიჭირა ნიანგი.



თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, როგორ დგას მუხლებამდე წყალში ნიკოლას მილიარი ფიცპატრიკი, შემდეგ იხრება და ნიანგს ხელებს კისერში სტაცებს. შემდეგ ის ხმელეთზე გამოდის და თავის ნადავლს უჩვენებს. ვიდეორგოლის ბოლოს ავსტრალიელი რეპტილიას ისევ მდინარეში უშვებს. არც მამაკაცი და არც ნიანგი არ დაშავებულან.

ფიცპატრიკმა აღიარა, რომ ბავშვობიდანაა დაკავებული ნადირობით. მან გადაწყვიტა შეემოწმებინა წლების გასვლასთან ერთად ხომ არ დაკარგა საკუთარი ჩვევები. მან ასევე აღნიშნა, რომ ნიანგზე პირველად ინადირა.

– მე საკუთარ თავს ვუთხარი: „ყურადღებით, მშვიდად იყავი და სწრაფად იმოქმედე, – განაცხადა ავსტრალიელმა, – დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერს სწორად გავაკეთებდი.

# ნიანგმა მეთევზე მისი ძმის თვალწინ მოკლა

ზიმბაბვეში უზარმაზარმა ნიანგმა მეთევზე იმ დროს მოკლა, როდესაც ის თევზსაჭერ ბადეს წყალში დგამდა.

პოლ ნიამჰანზა თავის 19 წლის ძმა ჯერემისთან ერთად თევზაობდა სოფელ ბეატრისის მახლობლად. მოულოდნელად რეპტილია თავს დაესხა 27 წლის მამაკაცს და ის წყლის სიღრმეში ჩაითრია. ზიმბაბველი დაიღუპა.

ჯერემიმ სასწაულებრივად მოახერხა თავდასხმის თავიდან აცილება და მომხდარის შესახებ ადგილობრივი პარკის ზედამხედველებს აცნობა. ისინი მაშინვე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და დაღუპული მამაკაცის გვამი წყლიდან ამოიღეს.

ნიამჰანზას სხეული საშინლად იყო დასახიჩრებული, მას სხეულის ნაწილი აკლდა. პოლიციელმა ტენდაი მვანზამ ადგილობრივები გააფრთხილა იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ნიანგებით სავსე ადგილებში თევზაობა შეიცავს.

# მყრალა (სკუნსი) ქალს დეპრესიის მოხსნაში დაეხმარა

ინგლისის ქალაქ უეიკფილდში ქალმა შინაურ ცხოველად მყრალა აიყვანა, რათა მისი დახმარებით ფსიქოლოგიური პრობლემებისგან განთავისუფლებულიყო.

მედდა პაულა ბავილა საზოგადოებრივი ადგილების მიმართ შიშს განიცდიდა. ქალს შიში და დეპრესია სტანჯავდა. თუმცა თავისი შინაური ცხოველის პონგოს დახმარებით შეძლო საკუთარი ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება. ახლა უკვე ქალი მშვიდად გადის ქუჩაში, საბელზე გამობმულ ცხოველს ასეირნებს და მთელი თავისი ყურადღება სწორედ მასზე აქვს გადატანილი.

– პონგომ გარკვეულწილად შეცვალა ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ, – აღნიშნა ინგლისელმა ქალბატონმა.

მისი თქმით, ქუჩაში სეირნობის დროს გამვლელები უფრო მეტად ყურადღებას მის შინაურ ცხოველს აქცევენ, ვიდრე თავად მას. ეს კი მას შიშისა და საფრთხის შეგრძნების დაძლევაში ეხმარება, რომელსაც ის ისეთ ადგილებში განიცდის, სადაც ბევრი ადამიანია თავმოყრილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ზელენსკიმ მუჟენკო მოხსნა



პრეზიდენტმა ზელენსკიმ პირველი საკადრო ცვლილებები უკვე განახორციელა. თანამდებობა დატოვა გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა მუჟენკომ. მისი ადგილი გენერალმა ხომიაკმა დაიკავა. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრ გენერალ პოლტორაკს, ის თავის თანამდებობას შეინარჩუნებს საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე.

გენერალი ხომიაკი 51 წლისაა. ის დონბასის ომის მონაწილეა. სახელი გაითქვა ილოვაისკის ოპერაციის დროს, როცა თავისი ქვეგანაყოფი ალყიდან გამოიყვანა.

ხომიაკის პარალელურად ზელენსკიმ მეორე დანიშვნაც განახორციელა. მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იურისტი ანდრეი ბოგდანი იქნება. ადრე ის ოლიგარქ კოლომოისკის ადვოკატი იყო.

ბოგდანის დანიშვნამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც უკრაინაში, ასევე დასავლეთშიც, უწინარეს ყოვლისა აშშ-ში.

# მერკელი და მაკრონი პუტინს დაუკავშირდნენ



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდნენ. საუბრის ძირითადი თემა უკრაინა იყო.

მერკელმა და მაკრონმა მკაცრად გააკრიტიკეს პუტინის ნაბიჯი დონბასში რუსული პასპორტების დარიგების თაობაზე. პუტინმა თავის მხრივ უპასუხა, რომ ეს აუცილებელი იყო.

– დონბასი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა! პასპორტების დარიგების გარდა მოსახლეობის გადარჩენის სხვა საშუალება არ არსებობდა, – მიუგო რუსეთის პრეზიდენტმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ქართული კლასიკოს მოლოდინში

**23 მაისი**
**ჩიხურა-დინამო ბთ**
**თბილისი. მიხეილ მესხი**

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს „მიხეილ მესხზე“. ჩიხურა ბოლო დროს უკეთ თამაშობს და გასაკვირიც არ არის, საუკეთესო ოთხეული რომ შეავიწროვა. მეტიც, ზემო იმერლებმა თბილისის დინამო ამ ოთხეულიდან მოისროლეს და ახლა თავად არიან მოკალათებული.

ცხადია, სოსო ფრუიძის გუნდი სულ არ ფიქრობს მიღწეულით დაკმაყოფილდეს და თუ ბათუმის დინამოსაც მოუგებს, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას კიდევ უფრო დაძაბავს.

თავის მხრივ ბათუმის დინამოც 3 ქულის ასაღებად ჩადის თბილისში. ზღვისპირელებს საჩემპიონო ამბიცია აქვთ და ქულების დაკარგვა არ ეპიტნავებათ. მით უფრო, რომ ლიდერთან ჩამორჩენა, შესაძლოა, გაიზარდოს.

მოკლედ, „მიხეილ მესხზე“ საინტერესო მატჩი გველის.



**ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი**
**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

ვიტ ჯორჯია ამ მატჩს განახევრებული შემადგენლობით ხვდება. ცნობილი მიზეზების გამო ვეტერინართა 5 ფეხბურთელი დაკავებულია. აქედან გამომდინარე, მასპინძლები არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ხვდებიან უახლოეს კონკურენტთან მატჩს.

ლოკომოტივს კი შანსი აქვს მდევართან სხვაობა გაზარდოს და სატურნირო ცხრილში წაიწიოს კიდეც. თუმცა, ეს მარტო მათზე არ იქნება დამოკიდებული.

**24 მაისი**
**სიონი-რუსთავი**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

ქვემოქართლური დერბიც საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ბოლო ტურში ორივე მათგანმა წააგო და ახლა გულშემატკივრებთან რეაბილიტაცია სჭირდებათ.

ქულები განსაკუთრებით რუსთავს სჭირდება, რომელიც ცხრილის ფსკერზეა, თუმცა, მშვიდად ყოფნის უფლება არც ბოლნისის სიონს აქვს, რომელსაც მდევრების სუნთქვა ესმის.

**დინამო (თბ)-ტორპედო**
**თბილისი. ლინამო არენა**

ქართული კლასიკო... მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდი კრიზისშია, ერთმანეთში თამაშის დროს ეს ყველაფერი დავიწყებას ეძლევა.

დინამო სპორტულ კრიზისშია – ბოლო 3 მატჩი ზედიზედ წააგო და ჩემპიონობის ამბიციის მქონე გუნდი ოთხეულიდანაც ამოვარდა. ტორპედოს ფინანსურად უჭირს. ერთია, დაპირებები არის, მაგრამ გუნდში უიმედობა მაინც იგრძნობა და რამდენიმე ფეხბურთელს თვალი წასასვლელად უჭირავს. თუმცა, როგორც გითხარით, ეს კლასიკოა და სხვა დატვირთვა აქვს.

ცხადია, ტურის ცენტრალურ მატჩადაც მიიჩნევა, სადაც ფავორიტი არ არსებობს.

**დილა-საბურთალო**
**გორი. თენგიზ ბუჩქანაძე**

პირველ ადგილზე მყოფი საბურთალო გორში იმ დილას ესტუმრება, რომელმაც 2 ტურის წინ ლიდერი გახადა. დიახ, დილამ ბათუმის დინამოს მოუგო და საბურთალომაც ამით ისარგებლა.

თუმცა, თუ გორელებმა შინ ბათუმელთა დამარცხება მოახერხეს, დიდი შანსია ქულები ახლა საბურთალოსაც აართვან. მით უფრო, რომ არც დილას აქვს მშვიდად ყოფნის უფლება. ეს ნიშნავს, რომ გორშიც არანაკლებ საინტერესო ჯახი უნდა შედგეს.

# ვინ მივა იუვეში



ბოლო პერიოდში აქტიურად ქვეყნდებოდა ცნობები, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი პეპ გვარდიოლა მანჩესტერ სიტისთან კონტრაქტს წყვეტს და სამუშაოდ ტურინის იუვენტუსში მიდის. იტალიურ მედიაში იწერებოდა ისიც, რომ პეპთან იუვემ 4-წლიანი კონტრაქტი შეათანხმა და ესპანელი ტურინს ახალ სეზონში უთავკაცებდა.

რეალობა კი ასეთია – ფაბიო პარატიჩი პეპს მართლაც შეხვდა, მაგრამ ეს არ იყო საქმიანი საუბარი – მილანში გოლფის ტურნირზე სხვადასხვა პოპულარული ფიგურები იყვნენ ჩასულები და მათ შორის ეს ორი ზემოთ ხსენებული პიროვნებაც.

სწორედ ამიტომაც დაიწყო პრესაში სიახლის მუსირება, თითქოს მხარეებმა ყველა დეტალი შეათანხმეს..

თუმცა, საერთო სურათი არ შეცვლილა – იუვენტუსის მწვრთნელად ორი აქტიური კანდიდატი – მაურისიო სარი და სიმონე ინძაგი ფიგურირებენ.

მესამე ვარიანტად ყველაზე ხშირად მაურისიო პოჩეტინო სახელდება და ეს პირველად გაზეთმა „ლა სტამპამ“ აიტაცა, რომლის ცნობით, პოჩეტინო მზად არის, კარიერა ტურინულ გრანდში განაგრძოს.

იმავე მილანში ყოფნისას ფაბიო პარატიჩი ტოტენჰემელთა თავკაცის 2 წარმომადგენელს შეხვდა და იუვენტუსში გადმოსვლაზე ესაუბრა. დიალოგი პოზიტიურ ჭრილში ვითარდება და, როგორც ჩანს, პოჩეტინო მართლაც მზად არის, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ იტალიაში გადაბარგდეს.

საუბარი მიმდინარეობს ასევე 4-წლიან ხელშეკრულებაზე, მაგრამ, ჯერჯერობით, ანაზღაურებასთან დაკავშირებით კონკრეტული არაფერია, ისევე, როგორც მის მოთხოვნებზე სატრანსფერო კუთხით.

# ვირჯილ ვან დეიკი: „არასოდეს დავივიწყებ, საიდან დავიწყე“

## რესტორნის სამზარეულოდან ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე

ინგლისის პრემიერლიგა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა რომ არის, ამას კამათი არ სჭირდება. ფაქტიც გნებავთ? კი ბატონო – მიმდინარე სეზონის ორივე ევროპული ტურნირის ფინალში ინგლისური გუნდები არიან. ჩემპიონთა ლიგაზე ერთმანეთს ლივერპული და ტოტენჰემი შეერკინება, ხოლო ევროპის ლიგის ფინალში ურთიერთობას ჩელსი და არსენალი გაარკვევენ.

ჰოდა, ამ ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ვირჯილ ვან დეიკი გახდა, რომლის გზა ამ წარმატებამდე სულაც არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი.

თინეიჯერობის პერიოდში, ვირჯილ ვან დეიკი, სკოლის გაკვეთილებსა და ტილბურგის აკადემიაში ვარჯიშებს შორის, რესტორანში, თეფშების მრეცხავად მუშაობდა. თუმცა, ტილბურგში ვერავინ ამჩნევდა, თუ რამხელა მომავალი ექნებოდა. მიუხედავად საფეხბურთო მონაცემებისა, ბიჭს რთულად აღსაზრდელის იმიჯი ჰქონდა.

– ნამდვილი პატარა ვირთხა, – ასე იხსენებს ვან დეიკს მაშინდელი ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი, რობი ჰენდრიკსი. კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ ტილბურგი არც კი გეგმავდა, რომ მისთვის პროფესიონალური კონტრაქტი შეეთავაზებინა.

როგორ გახდა ვან დეიკი ასეთი ძლიერი?

ვან დეიკის აღმასვლის სათავედ შეგვიძლია 2008 წლის ზაფხული მივიჩნიოთ, როცა 17 წლის ასაკში ბიჭმა სიმაღლეში ერთბაშად 18 სანტიმეტრით მოიმატა. მანამდე, როგორც თავად ვან დეიკი აღიარებს, იგი ნელი, ტანდაბალი მარჯვენა მცველი იყო, რომელსაც არანაირი თვისება არ ჰქონდა, გამხდარიყო დომინანტი ცენტრალური მცველი. ვან დეიკი თავისი აღნაგობით ტილბურგის აკადემიის აღზრდილ კიდევ ერთ ცნობილ მცველს – იაპ სტამს დაემსგავსა. თუმცა, მაინც ვერ შეძლო ძირითად გუნდში თავის დამკვიდრება. კლუბში ფიქრობდნენ, რომ ახალგაზრდა მცველის შესაძლებლობები ზედმეტად ლიმიტირებული იყო.

ტილბურგი ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენაში ძალიან სუსტია. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ფრენკი დე იონგის შემთხვევაშიც, რომელსაც ასევე არ მისცეს კლუბის პირველ გუნდში თამაშის შანსი. აიაქსმა იგი 18 წლის ასაკში გამოისყიდა და შემდეგ იჯარით ისევ ტილბურგში გაუშვა, თუმცა მხოლოდ 20 წუთი ათამაშეს.

ვან დეიკი დღემდე თეფშების მრეცხავი იქნებოდა, რომ არა კუმანების ცნობილი საფეხბურთო ოჯახი. მარტინ კუმანი – ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელების, ერვინისა და რონალდის მამა, გრონინგენის სკაუტად მუშაობდა და სწორედ მან მიიყვანა გუნდში ვირჯილი 2010 წელს. თუმცა, კლუბში ფიქრობდნენ, რომ ვილემის სარეზერვო და 18-წლამდელების გუნდში ერთდროულად თამაშის შედეგად, იგი გადაღლილი იყო და თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ.

მხოლოდ ვან დეიკს სჯეროდა, რომ იგი მზად იყო გრონინგენის პირველ გუნდში სათამაშოდ. ის ყოველთვის აფასებდა საკუთარ შესაძლებლობებს, მაშინაც კი, როცა სხვები არ აკეთებდნენ ამას.

ბოლოს და ბოლოს, 2011 წლის 29 მაისს, 19 წლის ასაკში, პროფესიონალურ ფეხბურთში მან პირველად დაიწყო მატჩი ძირითად შემადგენლობაში, დენ ჰააგის წინააღმდეგ. გაშვებული გოლი მისი ბრალი იყო, თუმცა თავად 2 გაიტანა. დომინანტურმა დებიუტმა ვან დეიკის კარიერას რიტმი დაუწესა: ყოველ ახალ გუნდში, პირველივე დღიდან ლიდერი ხდება.



ერთია, ვან დეიკის ცხოვრებაში სირთულეები ამით არ დასრულებულა. 20 წლის ასაკში, მას სიკვდილამდე ბევრი აღარ უკლდა. ვან დეიკს პერიტონიტი და თირკმლის მოწამვლა აღმოუჩინეს. იგი გრონინგენის საავადმყოფოში აღმოჩნდა. თავად იმ ამბებს ასე იხსენებს:

**ვირჯილ ვან დეიკი:**

– მახსოვს, საწოლზე ვიწექი. ერთადერთი, რასაც ვხედავდი, სამედიცინო მილები იყო. ჩემი სხეული განადგურებული იყო. არაფრის კეთება შემეძლო. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, როცა ფეხბურთი მეორეხარისხოვანი გახდა. სიკვდილს თვალებში ჩავხედე. ანდერძიც კი დავწერე. თუ მოვკვდებოდი, ჩემი ფული დედაჩემს დარჩენოდა.

ვან დეიკმა ეს სირთულეც გადალახა. მალე, იგი მწვანე მინდორს დაუბრუნდა. აქედან მოყოლებული, ვან დეიკი სრულყოფილი მცველი გახდა – ძალა, სიმაღლე, ტექნიკა, მის არსენალში ყველაფერია. დღევანდელი გადმოსახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობაში სუსტმა ფიზიკურმა მონაცემებმა, მის სასარგებლოდ იმუშავა. ბავშვობაში, როცა პოზიციას კარგავდა, არ შეეძლო ვარდნის ხარჯზე შეცდომის გამოსწორება ან სპრინტერულ დუელში მეტოქის დაჯაბნა. მას მოუხდა, ფეხბურთი ტრადიციული ჰოლანდიური გაგებით შეესწავლა: სპორტი, როგორც სივრცეებს შორის ჰარმონიული გადაადგილების პლატფორმა, სადაც ყველა ფეხბურთელმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს – ვარ თუ არა სწორ ადგილზე ახლა?

ყმაწვილობის პერიოდში, ფლანგის მცველის პოზიციაზე თამაშმა მას ბევრი ისეთი თვისება და უნარი შესძინა, რაც, როგორც წესი, ცენტრალურ მცველებს არ აქვთ.

გრონინგენის მაშინდელი თავკაცი რობერტ მასკანტი ხაზს უსვამს, რომ ვან დეიკი მუდამ მზად იყო კრიტიკის მოსასმენად. იგი სწრაფად და მარტივად ითვისებდა. ერთადერთი პრობლემა კონცენტრაცია იყო. გრონინგენი მისთვის ზედმეტად პატარა გუნდი აღმოჩნდა. მას თავიდანვე ეტყობოდა, რომ ელიტარული კლუბისთვის იყო დაბადებული, სადაც მუდმივი წნეხი და სტრესის ქვეშ ყოფნა გაიძულებს, ყოველთვის ფოკუსირებული იყო.

შემდეგი ნაბიჯი მწვერვალისაკენ 2013 წელს გადადგა. მან ბრაიტონისა და კრასნოდარის შეთავაზებები უარყო იმის იმედით, რომ რომელიმე ჰოლანდიური გრანდი მიიწვევდა. თუმცა უკვე მერამდენედ თავის კარიერაში, სათანადოდ ვერ აფასებდნენ. ვან დეიკის მიმართ სკეპტიციზმი განსაკუთრებით ჰოლანდია-იტალიის 21-წლამდელების შეხვედრის შემდეგ გამძაფრდა – ვირჯილმა საშინელად ითამაშა.

გრონინგენმა ვან დეიკი აიაქსის სპორტულ დირექტორს, მარკ ოვერმარსს შესთავაზა. პასუხი ასეთი იყო – ჩვენ უკვე შევიძინეთ ახალგაზრდა ცენტრალური მცველი, მიკე ვან დერ ჰორნი. შეცდა აიაქსიც – დღეს ვან დერ ჰორნი სუონსიში თამაშობს. ვან დეიკი პრემიერლიგის საუკეთესო მცველია...

საბოლოოდ, ვან დეიკი სელტიკში აღმოჩნდა, რომელსაც თავიდანვე ტრამპლინად განიხილავდა. ვან დეიკი მომენტალურად გახდა დაცვის ლიდერი და ზედიზედ ორჯერ შოტლანდიის პრემიერლიგაც მოიგო. თუმცა, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლუი ვან გაალმა მაინც არ წაიყვანა. სამაგიეროდ, ადგილი მოიძებნა ისეთი მცველებისთვის, როგორებიც ტერენს კონგოლო (ჰადერსფილდი) და ბრუნო მარტინს ინდი (სტოკი) არიან.

ვან გაალს სკაუტებმა ვიდეოები აჩვენეს, სადაც ვან დეიკი დაცვის ხაზიდან არ ამოდის და აგრესიულ პრესინგს არ მიმართავს. ჰოლანდიური ფეხბურთი კი სწორედ პროაქტიურ პრესინგზეა დაფუძნებული. დღეს ვან დეიკი იურგენ კლოპის ლივერპულის ლიდერია, გუნდის, რომელიც ამ კომპონენტში საუკეთესოა.

2015 წელს ვან დეიკის ცხოვრებაში კიდევ ერთხელ შეასრულეს პოზიტიური როლი კუმანებმა. რონალდ კუმანმა იგი საუთჰემპტონში მიიყვანა. ამის შემდეგ, 24 წლის ასაკში, მას ჰოლანდიის ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ვან დეიკმა 2 წელი საუთჰემპტონში ითამაშა და 26 წლის ასაკში, საბოლოოდ ავიდა მწვერვალზე.

კაცი, რომელიც გრონინგენს სრულიად უფასოდ ჩაუვარდა ხელში, ხოლო სელტიკმა სულ რაღაც 2.7 მილიონი ევრო გადაიხადა, 75 მილიონ ევროდ ლივერპულში გადავიდა და ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული მცველი გახდა.

ენფილდზე სადებიუტო მატჩში, ევერტონს გაუტანა და გუნდს მერსისაიდული დერბი მოაგებინა.

ვან დეიკი უკვე ულაპარაკო ვარსკვლავია, მაგრამ იგი განსხვავებული პერსონაა მულტიმილიონერების გარემოცვაში. მაშინ, როცა სხვებს ბავშვობიდან გარს ერტყათ აგენტები თუ სპონსორები, ვან დეიკს ჯერ კიდევ ახსოვს, თუ რას ნიშნავს იყო თეფშების მრეცხავი სრულიად უცნობი ბიჭი. იგი სრულწლოვანი ისე გახდა, რომ ვერსად ცნობდნენ გრონინგენის ქუჩების გარდა. მას ესმის, რომ შეიძლებოდა სამუდამოდ უცნობი დარჩენილიყო.

ხანდახან, იგი ტელევიზორში უყურებს თავის ყოფილ თანაგუნდელებს, რომლებიც ჰოლანდიის მეორე დივიზიონში მინიმალურ ხელფასზე აგორებენ ბურთს. მძიმე წარსულმა ვან დეიკს შესძინა უნარი, გაიგოს სხვების გასაჭირი. უნარი, რომელიც ასე იშვიათია თანამედროვე ფეხბურთის ელიტარულ დონეზე. ნოემბერში, ჰოლანდია-საფრანგეთის მატჩისწინა ჰიმნების დროს, მან შეამჩნია, თუ როგორ იყინებოდა ახალგაზრდა მასკოტი გოგო და თავისი მოსაცმელი მიაწოდა.

მას აღარც თამაშის დროს გაურბის კონცენტრაცია. ჰოლანდიური და ბრიტანული საფეხბურთო განათლების ნაზავმა თავისი ქნა. იგი რონალდ კუმანმა, რომელიც ახლა ჰოლანდიის ნაკრების თავკაცია, კაპიტნად აირჩია.

ლივერპულის კიდევ ერთმა ჰოლანდიელმა, ჟორჟინიო ვეინალდუმმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

– თუ ვირჯილი რამეზე არ გეთანხმება, ამას ყოველთვის გეტყვის. თამაშში იგი მთელი არსებით არის ჩართული, მუდამ მითითებებს იძლევა და ლაპარაკს არასოდეს წყვეტს. მის გვერდით თამაში ძალიან სასიამოვნოა.

ვან დეიკი თავადაც აღიარებს, რომ თამაშის დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობს. თუმცა ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი ფეხბურთს სხვანაირად ხედავს: ინტელექტუალური თამაში, სადაც ტვინი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალა.

ერთხელაც ვან დეიკს ბოლო დროის გამორჩეულ ცენტრალურ მცველ, სერხიო რამოსზე ჰკითხეს:

– არ ვფიქრობ, რომ იგი ამ მომენტში საუკეთესოა. ის მშვენიერი ფეხბურთელია, მაგრამ ჩემი ტიპის ცენტრალური მცველი არ არის. ვცდილობ, არ აღმოვჩნდე ისეთ რთულ სიტუაციებში, რომელშიც ის ხშირად ვარდება.

ვან დეიკი წყნარი ცხოვრებით ცხოვრობს: ვარჯიში, სახლი, ცოლშვილი, დასვენება, ფეხბურთი და ისევ იგივე. ახლა მას საუკეთესო წლები უდგას. თუ, რა თქმა უნდა, კიდევ არ აპირებს თამაშის გაუმჯობესებას. ახლა ის ძალიან შორს არის თეფშის მრეცხაობიდან, თუმცა ის ადამიანი მასში ჯერ კიდევ ცოცხალია:

– ნორმალურ ადამიანად უნდა დარჩე. თავში არ ამვარდნია. ცოლი მეხმარება, რომ დავრჩე ისეთად, როგორიც ვარ. აქამდე რომ მომეღწია, ძალიან ბევრი ვიშრომე, თუმცა არასოდეს დავივიწყებ, საიდან დავიწყე.

თუ გინდა იხილო, როგორ უმკლავდება ვან დეიკი საფეხბურთო პრობლემებს, შეგიძლია ლივერპულ-ტოტენჰემის პრემიერლიგური მატჩი ნახოთ, სადაც მან გამოუვალ სიტუაციაში, კონტრშეტევაზე ერთბაშად ორი მეტოქე, მუსა სისოკო და ჰონმინ სონი გაანეიტრალა. ლივერპულმა ის მატჩი მოიგო.

ლივერპულს ტოტენჰემთან კიდევ ერთი მატჩი აქვს ჩასატარებელი, სეზონის უმთავრესი მატჩი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი. ვნახოთ, ამჯერად როგორ გაუმკლავდება ვირჯილ ვან დეიკი საფეხბურთო მოედანზე პრობლემებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მამაკაცმა XVII საუკუნის მეკობრეების ხმალი იპოვა




ინგლისის კორნუოლის საგრაფოში მამაკაცმა მეკობრული ხმლის ფრაგმენტები იპოვა, რომელიც დაახლოებით 335 წლის წინ იყო დამზადებული.

რობერტ ფელჩე განძის ძებნით დოლარ-კოუვის ყურეში იყო დაკავებული, სადაც XVII საუკუნეში გემმა, სახელად „შიდამმა" კატასტროფა განიცადა. ბრიტანელმა ხმლის პირის რამდენიმე ნაჭერი იპოვა. ისინი პატარა ხევში იყო მიმობნეული და ქვიშით იყო დაფარული. ის ვარაუდობს, რომ ეს სააბორდაჟე ხმლის ფრაგმენტებია.

– როგორც მოსალოდნელი იყო, წლებმა და ზღვამ თავისი გააკეთეს. ხმლის პირის დიდი ნაწილი ან დაჟანგებულია, ან საერთოდ გამქრალია, – განაცხადა ფელჩემ.

აღსანიშნავია, რომ ფელჩესთვის ეს ამ ადგილზე პირველი ნაპოვნი საგანი არ არის. დოლარ-კოუვში მან ადრე სამი ხელყუმბარა იპოვა.

„შიდამი" ჰოლანდიური სავაჭრო ხომალდი იყო, რომელიც 1683 წელს ხელში მეკობრე ბარბარებმა ჩაიგდეს, შემდეგ კი ინგლისელებმა. ისინი მას სამეფო სამხედრო საზღვაო ფლოტის სატრანსპორტო ხომალდად იყენებდნენ. გემი 1684 წლის აპრილში ძლიერი ქარიშხლის დროს ჩაიძირა.

# მამაკაცმა თვითნაბადი კილონახევრიანი ოქროს ზოდი იპოვა

ავსტრალიის ქალაქ კალგურლიში ოქროსმაძიებელმა ოქროს დიდ ნაჭერს მიაგნო, რომლის ფასი დაახლოებით 100 ათასი ავსტრალიური დოლარია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მამაკაცმა, რომლის ვინაობა უცნობია, იშვიათი და ძვირფასი თვითნაბადი ზოდი იმ დროს იპოვა, როდესაც გოლდფილდს-ესპერანსის ოლქში ლითონის სპეციალური მაძიებელი მოწყობილობით ოქროს ძებნით იყო დაკავებული. ნაპოვნის ფოტოსურათი, რომლის წონა 1,4 კილოგრამს შეადგენს, ფეისბუქში სოციალურ ჯგუფში გამოქვეყნდა. ინტერნეტ-მომხმარებლები ზოდის ზომამ გააოცა და მამაკაცს იღბლიანი უწოდეს.

სოციალური საზოგადოების მფლობელის მეთ კუკის თქმით, ასეთი ზომის თვითნაბადი ზოდის პოვნა რეგიონში წელიწადში რამდენჯერმე ხდება და ამისთვის სპეციალური მოწყობილობაა საჭირო. მან ასევე აღნიშნა, რომ სურათის გამოქვეყნების შემდეგ კალგურლიში უამრავი ადამიანი ჩავიდა, რომლებსაც ასეთივე წარმატების იმედი აქვთ.

– მეტად საყურადღებოა. არ მახსოვს, რომ ასეთი წელი გვქონოდეს. ამჟამად ოქროზე მაღალი ფასებია და ამიტომაც დაიწყო ოქროს ციებცხელება, – განაცხადა კუკმა.

# ძაღლის მიმართ გულგრილობის გამო მამაკაცმა საცოლე მიატოვა



Reddit-ს მომხმარებელმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ თავისი საცოლე ქორწილის წინ იმის გამო მიატოვა, რომ მან მისი ძაღლის მიმართ სრული უგულისყურობა გამოიჩინა. მან განმარტა, რომ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ძაღლმა რამდენიმე ცალი შოკოლადი შეჭამა.

28 წლის მამაკაცმა აღიარა, რომ თავის 27 წლის შეყვარებულთან ოთხი წლის მანძილზე ჰქონდა ურთიერთობა. მას ჰყავს ძაღლი, შვიდი წლის ლაბრადორი, რომელსაც მამაკაცი უწოდებს „საუკეთესო ძაღლი მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე არსებულან".

გოგონამ დაქალების წვეულება მის სახლში მოაწყო, თუმცა სთხოვა, რომ ძაღლი მასთან დაეტოვებინა. მამაკაცი დასვენების დღეებში მშობლებთან გაემგზავრა, ხოლო გოგონას დაუბარა, რომ წვეულების დროს ძაღლი საძინებელში ჩაეკეტა.

– შაბათს, დილის ხუთ საათზე მან დამირეკა და მითხრა, რომ ჩემ ძაღლს რაღაც ჭირდა. ის მთვრალი იყო, ასე რომ, ვეტერინართან ის ტაქსით გავაგზავნე. როდესაც ადგილზე მივედი, ისე გამოიყურებოდა, თითქოს რამდენიმე საათი ტიროდა და ლაპარაკს ვერ ახერხებდა. მისმა ორმა დაქალმა მითხრა, რომ ძაღლი ცოცხალი იყო, მაგრამ ძალიან ცუდად იმყოფებოდა, – დაწერა მამაკაცმა. ის საცოლეს მოეხვია და ის მანამდე ეცოდებოდა, სანამ სიმართლეს შეიტყობდა.

როგორც გაირკვა, ქეიფის შემდეგ გოგონებმა მაგიდებზე დატოვეს შოკოლადები და სასმელები, ძაღლი კი მათ შორის დადიოდა და ტკბილეულს შეექცეოდა.

სახლში დაბრუნების შემდეგ მამაკაცმა საცოლე გააგდო და განუცხადა, რომ მათი ქორწილი გაუქმებული იყო. მიუხედავად ნათესავებისა და მეგობრების თხოვნისა, რომ გოგონასთვის ეპატიებინა საქციელი და შერიგებოდა, მამაკაცმა ამაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ის ისეთი ადამიანია, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და სხვა ადამიანების და ასევე ცხოველების ბედი არ ანაღვლებს.

# მშობლებს ჩვილი ბავშვი ტაქსში დარჩათ



გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მშობლებს დაუბრუნეს ბავშვი, რომელიც მათ ტაქსში დაავიწყდათ.

ოჯახური წყვილი სამშობიაროდან თავიანთ უფროს შვილთან და ახალდაბადებულთან ერთად ბრუნდებოდა. როდესაც ტაქსის მძღოლმა მანქანა მათ სახლთან გააჩერა, მათ მგზავრობის ფული გადაიხადეს, მძღოლს დაემშვიდობნენ და მანქანიდან გადავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი წყვილმა აღმოაჩინა, რომ ახლად დაბადებული მანქანაში დარჩათ. მამა შეეცადა ტაქსს დასწეოდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

მძღოლმა მანქანაში დარჩენილი ჩვილი ვერ შენიშნა და შეკვეთების მიღებას აგრძელებდა, სანამ ბავშვს ეძინა. როგორც პოლიციელებმა დააზუსტეს, მძღოლმა ბავშვი მანქანაში შემთხვევით მარტო დატოვა, როდესაც შესვენებას აკეთებდა. ჩვილი მანქანის უკანა სავარძელზე მგზავრებმა აღმოაჩინეს.

მძღოლმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა. ჩვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს გასასინჯად, რის შემდეგაც მშობლებს დაუბრუნეს.

# იხვის გადამრჩენელებმა სასამართლოში ამოყვეს თავი



დიდ ბრიტანეთში ორმა მეგობარმა იხვის გადასარჩენად არეულობა მოაწყო და შედეგად თავი სასამართლოში ამოყვეს.

ინციდენტი ჯერ კიდევ 27 აპრილს მოხდა, თუმცა მის შესახებ მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეილ ედვარდს-სესილი თავის 40 წლის იუბილეს მეგობარ ლი გოდუინთან ერთად აღნიშნავდა. მათ რამდენიმე ალკოჰოლიანი კოქტეილი დალიეს და საჭმელად „მაკდონალდსში" შევიდნენ. რესტორანში მათ იხვი შენიშნეს და ის გარეთ, ქუჩაში გამოიყვანეს.

შემდეგ მათ ხმამაღალი კამათი დაიწყეს გზააბნეული იხვის გამო. თვითმხილველებმა პოლიცია გამოიძახეს.

– არ ვიცი, როგორ გაგვექცა სიტუაცია კონტროლიდან, – აღიარა 31 წლის გოდუინმა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფებმა კი ადგილზე მისულ სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს. შედეგად პოლიციელებმა მეგობრები დააკავეს და მათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა.

მოსამართლემ ედვარდს-სესილის და გოდუინს 12 თვით პირობითი პატიმრობა და სასამართლო ხარჯების 85 ფუნტი სტერლინგის გადახდა მიუსაჯათ.

# ქალიშვილმა დედის გადასარჩენად უნივერსიტეტში ჩაბარებაზე უარი თქვა



ჩინეთის პროვინცია ხებეიში გოგონამ უნივერსიტეტში მოსაწყობად დანიშნული გამოცდები გამოტოვა, რათა ავადმყოფი დედა გადაერჩინა.

მარტში ქალს მწვავე ლეიკოზი დაუდგინეს. ექიმებმა ოჯახი გააფრთხილეს, რომ მას სასწრაფოდ სჭირდებოდა ძვლის ტვინის გადანერგვა. მისი ქალიშვილი ჩჟაო სიკი დედის დონორი გახდა და უმაღლესში ჩასაბარებლად სრულიად ჩინეთის სახელმწიფო გამოცდები გამოტოვა.

– ჩემთვის დედის სიცოცხლე გაცილებით მნიშვნელოვანია. მას ხომ მხოლოდ ერთი სიცოცხლე აქვს, – აღნიშნა სიკიმ. ის უნივერსიტეტში ჩაბარებას მომავალ წელს გეგმავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის"**
დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: **ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა.**
**მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული, ოფისი 7.**
**☎ 599-498-423 - ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით**



**ჩემო საყვარელო მარიკა!**

გილოცავ დაბადების დღეს, მეორე შვილის დაბადებას მთელ ოჯახს ბაჩოს მეთაურობით. გისურვებთ დიდ ბედნიერებას. გაიხარე და ღმერთი შეგეწიოს.

*შენი ნანა*

# ასტროპროგნოზი

## 23 მაისისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 3. სამთო საქმეში გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერება; 4. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 5. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 6. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 11. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 14. ჩაის დეგუსტატორი; 15. გამაგრილებელი სასმელის გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 17. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება აშშ-ში; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად:** 7. სასწრაფო სამუშაო გემზე ეკიპაჟის მთელი შემადგენლობით; 8. მანათობელი მწერი; 9. მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 10. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული გრძელთმიანი მაიმუნი; 12. სამხედრო სატუსაღო; 14. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 16. ზანგური ხალხური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 18. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 20. გამაგრილებელი სასმელი; 21. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 22. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში; 23. ერთგულების მტკიცე პირობა; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბურგასი; 2. ალეგრი; 3. გარიბალდი; 4. ღვინიო; 5. სარდინია; 7. არნო; 11. ბოჭორმა; 13. რაფსოდი; 15. უწერა; 16. კენია; 18. მლილი; 19. იარდი.

**თარაზულად**: 6. უშქარი; 8. სლოგანი; 9. როიტერი; 10. აპლომბი; 12. ციცქა; 14. ბორანო; 17. დიფამაცია; 20. კარდენი; 21. გრივნა; 22. ლონდრე; 23. მარტვილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**; 1. ბომარშე; 2. კლონი; 3. კოხინორი; 4. ანგარი; 5. ყვარელი; 6. ხინკალი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. კორელაცია; 17. ბეკონი; 18. კოიოტი; 19. ლეკი.

**თარაზულად**: 7. ბოჟოლე; 8. როინაშვილი; 9. იასონი; 10. პიკადორი; 12. სენბერნარი; 14. ამიაკი; 16. აბრსკილი; 16. კადასტრი; 20. დიორი; 21. ილი; 22. პოინტერი; 23. ნიცა; 24. ქიმერიონი.

# „რანინას“ ფინალისტები ცნობილია



მუსიკალურმა შოუმ „რანინა“ ფინალისტები დაასახელა. მონაწილეებიდან შეირჩა ის სამი კონკურსანტი, ვინც ფინალში მიიღებს მონაწილეობას და გამარჯვებული გახდება.

„რანინას“ ფინალი 26 მაისს პირველი რესპუბლიკის მოედანზე დაიწყება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ანა ბერიშვილი, ანასტასია გარსევანიშვილი და გიორგი როსტიაშვილი.

მათ შორის ერთ-ერთი გახდება „რანინას“ გამარჯვებული და საქართველოს ხმა 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.

# მამუკა ჩარკვიანი შემოქმედებით საღამოს გამართავს



მომღერალი და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი მამუკა ჩარკვიანი შემოქმედებით საღამოს გამართავს.

– იქნებ სიმაღლე არის მამული – ასე ჰქვია კონცერტს, რომელიც 22 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხმები, კვარტეტი მუხამბაზი, ტრიო სიმი, ჯგუფი ფრენდ სი, დათო ევგენიძე, ლაშა ღლონტი, დათო გომართელი, გიორგი მეფისაშვილი, გიორგი ჩიქოვანი, აჩიკო ნიჟარაძე, გიგი ადამაშვილი, გიორგი შალვაშვილი, მაია ჯაბუა, ანი სირაძე, ლენკა ზვიადაძე, როლანდ ჯანაშვილი, ნანა ცინცაძე, ზურა ინგოროყვა, მურმან ჯინორია, ზურა ყიფშიძე.

მამუკა ჩარკვიანის კონცერტზე მის მიერ დაწერილ ცნობილ და ყველასთვის საყვარელ სიმღერებთან ერთად, ახალი ნაწარმოებებიც აჟღერდება.

# სოფო ტოროშელიძე: „უფლებას არ მოგცემთ, შემაწმინდოთ ხელი!“



აცხადებს მომღერალი სოფო ტოროშელიძე და ყველა ცილისმწამებელს საკადრის პასუხს სცემს:

– გაეშვით ჩემი სახელის და გვარის მოხსენიებას ნებისმიერ კომენტარში თუ სტატუსში! განცხადება და სტატია გამოქვეყნდა 30 აპრილს, რომლის შემდეგაც გარკვეული მიზეზების გამო უარი ვთქვი ევროვიზიის ჟიურის წევრობაზე.

იცით ძალიან ბევრჯერ გავჩუმდი და ხმა არ მოვიღე, როდესაც ცილისწამება მიდიოდა და ბულინგი ჩემი მიმართულებით, აღარ მინდა სახელები და გვარები ამოვატივტივო და რეალური მიზეზები და პერსონები დავასახელო, ვისი გადაწყვეტილებითაც დატოვეს პროექტები სხვადასხვა ადამიანებმა! რატომღაც სხვებს შეგვეწმინდა ხელები მაშინაც!

ახლა ევროვიზიას რაც შეეხება, შეგახსენებთ, რომ თამთაც ძალიან კარგი მეგობარია ჩემი, ოთოც და მარიკო ლეჟავა ხომ არის და არის ჩემი უძვირფასესი ადამიანი და მეგობარი! და თუ საჭიროა, სამივეს დავიცავ ისე, როგორც საჭიროა! მაგრამ რაშიც მონაწილეობა არ მიმიღია და საერთოდ არ გავკარებივარ, უფლებას არ მოგცემთ, რომ კიდევ შემაწმინდოთ ხელი!

# ოზურგეთის თეატრი ბულგარეთში დააჯილდოვეს



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე დააჯილდოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ თეატრის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ ბულგარეთიდან: ჩვენი სპექტაკლი „კოცნა“ დაჯილდოვდა ვრაცის ფესტივალის მთავარი პრიზით – თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის საუკეთესო გადაწყვეტა; მსახიობი თამარ მდინარაძე დაჯილდოვდა პრიზით ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ვულოცავთ ჩვენს თეატრს, თამარს და რეჟისორ ნევენა მიტევას ამ დიდ წარმატებას საერთაშორისო თეატრალურ არენაზე. ეს ერთი და სხვა მრავალი!

# ბიძინა კვერნაძის 90 წლის იუბილე ოპერაში აღინიშნება




კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის 90 წლის იუბილე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში აღინიშნება.

22 მაისს კომპოზიტორის შემოქმედებას გააცოცხლებენ ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, მანანა მენაბდე, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გოგი ჭიჭინაძე, ნინო ქათამაძე, მიხეილ შეშაბერიძე, თამრიკო ჭოხონელიძე, მარიამ როინიშვილი, ნეკა სებისკვერაძე, აჩიკო ნიჟარაძე, დათო წულუკიძე, თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი, სამების კათედრალის საპატრიარქო გუნდი, ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი.

საიუბილეო საღამოს რეჟისორი გოჩა კაპანაძეა, მხატვარი კი ბაკურ ბაკურაძე.

ბიძინა კვერნაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებულ კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

**ნიკა ნიკვაშვილი, პიანისტი, კონცერტის ორგანიზატორი:**

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო, უცნობებო, ნაცნობებო! ყველას გიხდით დიდ ბოდიშს, კონცერტის ბილეთები უკვე დიდი ხანია აღარ არის! მე ნამდვილად არ გამაჩნია არანაირი მოსაწვევები, პირველ რიგში უღრმეს მადლობას გიხდით ბატონი ბიძინა კვერნაძის ასეთი სიყვარულისათვის და იმ ინტერესისათვის, რაც ამ კონცერტის ირგვლივ ხდება. რასაკვირველია, ძალზედ სასიხარულოა, მაგრამ მეორე მხრივ, ჩემთვის ძალიან რთულია, როდესაც უამრავ ადამიანს, ვისაც გულით უნდა საღამოზე დასწრება, ვერანაირი გზით ვერ ვაკმაყოფილებთ, მიუხედავად იმისა რომ რეკლამაც კი არ გავუშვი, რეკორდული მაჩვენებლით რამდენიმე დღეში სრულად გაქრა ბილეთები.

მე ვფიქრობ ეს იმის საწინდარია, რომ აუცილებლად განმეორდება ეს საღამო და ერთად ვეტყვით ჩვენს ბიძინა კვერნაძეს და მის შეუდარებელ მუსიკას, რომ ძალიან, ძალიან გვიყვარს.

# რამაზ იოსელიანმა ახალი სპექტაკლი დადგა



მსახიობმა და რეჟისორმა, ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რამაზ იოსელიანმა ახალი სპექტაკლი დადგა.

რეჟისორმა არჩევანი ცნობილი თურქი დრამატურგის, აზიზ ნესინი კომედიაზე „მომკალ, მომკალ...“ შეაჩერა. ერთმოქმედებიანი სპექტაკლი ორი მეზობლის, ხანდაზმული ქვრივი ქალბატონის მარტოობის და გაუცხოების პრობლემას შეეხება.

კომედიური ჟანრის სპექტაკლზე მისული მაყურებელი ნახავს, რომ ადამიანებს სჭირდებათ ყურადღება, თუმცა საზოგადოება გარკვეული ასაკის შემდგომ მარტო ტოვებს ადამიანს საკუთარ თავთან და ეს უდიდეს გაუცხოებას, შინაგან ტკივილს ბადებს. ტკივილნარევი იუმორით, მწარე სარკაზმით ვხედავთ, თუ როგორი რთულია სიმარტოვე და ყურადღების ნაკლებობა საზოგადოებაში, რომელსაც მთელი ცხოვრება შეალიე. ორმოც წელს გადაცილებული ქვრივი ქალბატონები, რომელთაგან ერთს შვილიც ჰყავს, განიცდიან მარტოობას, სულიერ და ფიზიკურ ტკივილს. მათ სჭირდებათ ყურადღება, სურთ, რომ ირგვლივ მყოფები ამჩნევდნენ. სიმარტოვე ათასგვარ ფანტასმაგორიულ ფიქრებს აღძრავს, შესაძლოა ბუნებრივი აირის კონტროლიორი სექსუალური მანიაკიც კი ეგონოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ელოდო მის გამოჩენას. სოციალური კომედია მაყურებელს ღიმილთან და განტვირთვასთან ერთად, ბევრ ცხოვრებისეულ რეალიებზე დააფიქრებს.

რეჟისორ რამაზ იოსელიანთან ერთად სპექტაკლზე მხატვარმა ანანო დოლიძემ იმუშავა. სპექტაკლის ტექნიკური რეჟისორი ეკა კულუაა. სპექტაკლში მონაწილეობენ ფოთის თეატრის უფროსი და საშუალო თაობის მსახიობები ლილი ბოდაველი, ჩიტო პატარიძე, მარიკა ბუკია და ნოდარ ბჟალავა.

# მარკუს მეტრეველი: „შური კლავს, შხამავს და ანადგურებს ადამიანს!“



მომღერალი მარკუს მეტრეველი კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, რომ შური კლავს და ანადგურებს ადამიანს:

– მაპატიეთ, მაგრამ ძალიან სასაცილოა, როდესაც ისეთი დონის არტისტს აფასებენ ეგრეთწოდებული კომპეტენტური ჟიურის წევრები, როგორიც არის „თამთა“.

სასაცილოა თქვენი 6 ქულა.

სასაცილოა თქვენი კომპეტენტურობა.

სასაცილოა თვენივე არაფრისმთქმელი ამბიცია, რომელიც გაძლევთ იმის უფლებას, რომ შეაფასოთ არტისტი, რომლის კარიერულ დონეს ვერასდროს მიუახლოვდებით!

სასაცილოა თქვენი თანადგომა თანამემამულის მიმართ.

ძალიან მაინტერესებს, ვინც ეს მარაზმი ქულა დაწერა, ვისა აქვს მასზე დიდი სასცენო გამოცდილება? მასზე ბევრი სიდი სინგლი, ალბომი, ოქროსა თუ პლატინის დისკი, მასზე მეტი ვიდეო კლიპები და სარეკლამო კლიპები, მასზე მეტი აღიარება უცხო ქვეყნის მიერ! მე არ მაქვს ინფორმაცია, ვინ იყო ის კომპეტენტური ჟიური, მაგრამ „0“ ჩემგან, ამიტომ ვერ მივდივართ წინ ვერასდროს და ვდგავართ მუდამ ევროვიზიის კულისებში, თქვენნაირები რომ ზიან ეგრეთწოდებულ ჟიურიში!

შური კლავს, შხამავს და ანადგურებს ადამიანს! ამით თამთას არაფერი დაუშავდა, უბრალოდ კიდევ ერთხელ დაანახეთ თქვენი მლიქვნელობა!

თამთას კი კვლავ ვუსურვებ მეგა წარმატებას, რომელიც არასდროს აკლია!

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილი მზია გვალია, და ცისანა კუჭუხიძე, სიძეები მამუკა ადამია, სანდრო ჯაფარიძე, რძლები თამრიკო სიჭინავა, მაკა ნოზაძე, ლამარა ჩაბრავა, ჟუჟუნა კუპრეიშვილი, შვილიშვილები გვანცა და ბექა გვალიები, თამუნა და გიგა ადამიები, მძახლები გოგი და ლამარა სიჭინავები, ძმისშვილები და დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ გვალია**

პანაშვიდი: 23, 24 მაისს, სენაკის რაიონის სოფელ მენჯში.

გამოსვენება: შაბათს, 25 მაისს, 15 საათზე, ქ. თბილისის საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ლალი ჩხეიძე და გივი ჯაფარიძე ოჯახით თანაუგრძნობენ მძახლებს მზია გვალიასა და მამუკა ადამიას

**ნოდარ გვალიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ევგენი მიქელაძის როიალი ჩუქდება



დირიჟორ ევგენი მიქელაძის როიალი ჩუქდება. მას მსახიობი ქეთევან კიკნაძე აჩუქებს. მაესტრო, რომელიც ქეთევან კიკნაძის მეუღლის, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის ბიძა იყო, საქართველოში პირველი ორკესტრის ჩამომყალიბებლად ითვლება:

– საქართველოში პირველი ორკესტრის ჩამომყალიბებელი, დირიჟორი ევგენი (ჟენია) მიქელაძე იყო გიგას ბიძა. გვაქვს მისი როიალი, გერმანული „შრედერი“, ეს არის უნიკალური ნივთი, ანტიკვარი.

ვჩუქნი ოპერას, ან ევგენი მიქელაძის ორკესტრს, ან მუსიკალურ სკოლას მიქელაძისას. მსურველი გამომეხმაუროს. საკუთარი სახსრებით გადატანით, ეს სამუზეუმო ნივთია.

# ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანი კანის კინოფესტივალის რჩეულ მსახიობებს შორის დასახელდა



ქართველი მსახიობი ლევან გელბახიანი წლევანდელი კანის საერთაშორისო კინოფესტივალის რჩეულ ვარსკვლავთა შორის დასახელდა.

ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა იმ 15 განსაკუთრებული მსახიობის ჩამონათვალი გაავრცელა, რომლებიც ფილმებში გამორჩეულად თამაშობენ და მაყურებელს თავი დაამახსოვრეს.

ანტონიო ბანდერასის, უილემ დეფოს, ლეონარდო სბარაგლიას, რობერტ პატინსონის და სხვა მსახიობების გვერდით დასახელდა ლევან გელბახიანი, რომელიც ლევანი აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

ფილმი გეიწყვილზეა და მისმა პრემიერამ კანის კინოფესტივალზე დიდი წარმატებით ჩაიარა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7756 | ევრო — 3.1001 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5153 | 100 რუსული რუბლი — 4.559 |

## ამინდის პროგნოზი 23 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**14 მაისიდან**

ქართული მითები




ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

**21 მაისიდან**

ძმები გრიმები

ზღაპრები




ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## დორტმუნდის ბორუსიამ ტორგან აზარი იყიდა



დორტმუნდის ბორუსიამ ბელგიელი ნახევარმცველი, ედენ აზარის ძმა, ტორგან აზარი იყიდა.

აზარი უკვე ჩავიდა დორტმუნდში და რამდენიმე დღეში მისი პრეზენტაციაც იქნება.

აზარის ტრანსფერი ბორუსიას 30 მილიონი დაუჯდა და ფეხბურთელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ტორგანმა განაცხადა, რომ ის ამაყობს ისეთ გუნდში გადასვლით, როგორიც დორტმუნდის ბორუსიაა და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუოს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

გოგო ბიჭს ეუბნება:

– მალე უფრო ახლოს გამიცნობ საყვარელო...

– მერე, რა იქნება?

– რა და მინდა წინასწარ ბოდიში მოგიხადო!

•••

ერთი მეგობარი მეორეს შესჩივის:

– სახლი ტარაკანებით გამევსო, სადაც გაიხედავ, ყველგან ეგენი არიან, არ ვიცი, რა მოვუხერხო.

– ტარაკანების ცარცი იყიდე.

– რა, შველის?

– როგორ არა, აგერ ხედავ, თავისთვის კუთხეში სხედან და ხატავენ...

•••

დედა შვილს მკაცრად ეკითხება:

– გუშინ სკოლაში რატომ არ იყავი?

– მასწავლებელს საჩუქარი გავუკეთე.

– რა საჩუქარი?

– გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და აღარ შევაწუხე.

•••

სექსის შემდეგ ქალი კაცს ეკითხება:

– აბა, მიაღწიე იმას, რაც გსურდა?

– შეიძლება ითქვას, კი! და შენ?

– მაგას ტესტი გვაჩვენებს.

•••

ექიმი პენსიონერს ეკითხება:

– რამდენად ხშირად გადიხართ კუჭში?

– კვირაში ერთი-ორჯერ.

– რატომ ასე იშვიათად?

– ჩემი პენსია მეტის საშუალებას არ იძლევა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რობერტო ფირმინომ ვარჯიში განაახლა



ლივერპულის ფორვარდმა რობერტო ფირმინომ კუნთის ტრავმა თითქმის ბოლომდე მოიშუშა და ვარჯიში განაახლა.

ამჟამად ლივერპული ესპანეთში იმყოფება, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ემზადება, რომელიც 1 ივნისს გაიმართება.

ფირმინოს 3 კვირაა არ უთამაშია და მან ბარსელონასთან განმეორებითი შეხვედრაც გამოტოვა, მაგრამ ფინალისთვის სავარაუდოდ ის მზად იქნება.

ფირმინომ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ლივერპულისთვის ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს.

## დე ხეას მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა სურს



მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელ მეკარეს დავიდ დე ხეას გუნდიდან წასვლა სურს და ამის გამო ის ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარს ამბობს.

დე ხეას რამდენიმე გუნდი ეპატიჟება და შესაძლოა ის ესპანეთშიც დაბრუნდეს, თუმცა ყველაზე რეალური ვარიანტი პსჟ-ში გადასვლაა, რომელიც მზად არის, დე ხეას ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ეს ტრანსფერი ადრეც აქტიურად განიხილებოდა, მაგრამ მაშინ დე ხეამ მანჩესტერში დარჩენა ამჯობინა.

ამჟამად, როგორც ჩანს, მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო.

## რაფაელ ვარანი: „რეალში ვრჩები“



მადრიდის რეალის მცველმა რაფაელ ვარანმა განაცხადა, რომ ის რეალიდან წასვლას არ აპირებს და, სავარაუდოდ, მალე გუნდთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ვარანი ფიქრობდა სხვა გუნდში გადასვლაზე, მაგრამ საბოლოოდ დარჩენა ამჯობინა:

– ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ ახალი გამოწვევა მჭირდებოდა, რადგან რეალში ყველაფერი მოვიგე, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ უკეთეს გუნდში ვერსად წავიდოდი. რეალი ძალიან მიყვარს და ეს კლუბი ჩემთვის ოჯახივით არის. მომავალ სეზონში ვეცდებით, რომ ტიტულები ისევ მოვიგოთ.

## კილიან მბაპე პსჟ-დან წასვლას არ აპირებს



პსჟ-ს ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი კილიან მბაპე გუნდიდან წასვლას არ აპირებს. მბაპემ ერთ-ერთ ინტერვიუში უარყო ის ფაქტი, რომ მას მობეზრდა პსჟ და რეალში აპირებდა კარიერის გაგრძელებას:

– პსჟ-ში ძალიან ბედნიერი ვარ და არ ვიცი, ეს ჭორები საიდან ვრცელდება. აქ იმისთვის მოვედი, რომ ტიტულები მოვიგო და ამას აუცილებლად გავაკეთებ. ჩვენი მთავარი მიზანი ისევ ჩემპიონთა ლიგა იქნება.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 2. ყურძნის სხვადასხვა ჯიშების შერევა ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად; 3. უკრაინის ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 4. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 5. თანაგრძნობა, კეთილი განწყობა ვინმესადმი; 7. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 11. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 13. ქართული მოხარშული და გადაზელილი ყველი; 15. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქურდის, ხულიგნის, ბანდიტის ძველი სახელწოდება საფრანგეთში; 19. პირველი ავტომობილის შემქმნელი გერმანელი კონსტრუქტორი.

**თარაზულად:** 6. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 8. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 9. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ქალაქი იმერეთში; 12. ფულის ერთეული ირანში; 14. კუთხე საქართველოში; 17. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ; 20. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 21. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


| ფუ ფანგ დან შენ პიან Fu fang dan Shen pian | მაი ვეი დი ჰუანგ ვან Mai vei di huang van | ნონ გონ იუენ ძ ვან Nuan gong yun zi wan | სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან Xiao qe wan + liu vei di huang wan | ჩუან სიან ჩა თიაო ვან Huan xiong cha tiao wan |
|---|---|---|---|---|
| გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი | ჭარბი ოფლიანობა | ციკლის მოწესრიგება და უშვილობა | არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში | თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე |
| ischemic heart disease high cholesterol | excessive sweating | cycle regulation. Infertility | regulates sugar levels in blood | head ache, ill, weakness |
















BOAI

**ბოაი**

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15

მობ. ტელ: 568-73-73-44

www.facebook.com/Boaigeorgia/